# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 16 სექტემბერი 2000 №179 (1201) | ფასი 50 თეთრი


# აანთო!

## ოლიმპიადა სასწაულით დაიწყო

## სიდნეიში წყალი, ცეცხლი და ორი კორეა გაერთიანდნენ





ხუან ანტონიო სამარანჩს ოლიმპიადის ასეთი გახსნა ჯერ არ უნახავს

REUTERS საიტიდან

სიდნეიში ოლიმპიური თამაშები საზეიმოდ გაიხსნა. ცერემონიალზე ბევრი რამ მოხდა და არამხოლოდ გარეგნულად თვალისმომჭრელი. 50-წლიანმა ყინულმა დნობა იწყო, ჩრდილო და სამხრეთკორეელებმა ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს და ოლიმპიური სტადიონის ბილიკზე ერთ გუნდად შეკრულებმა გაიარეს, ოლიმპიური ცეცხლი ავსტრალიელმა აბორიგენმა, 400 მეტრზე მორბენალმა, კეტი ფრიმენმა წყალზე დაანთო. სანახაობით თვით მრავლისმნახველნი გაოგნდნენ: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, ხუან ანტონიო სამარანჩმა თქვა, ოცი წელია, ოლიმპიურ მოძრაობას ვთავკაცობ და ამგვარ რამეს ჯერ არ შევსწრებივარო. აღტაცება გამოთქვეს ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა ჯონ ჰოვარდმა და სხვა მრავალმა. ოლიმპიადის გახსნაზე დადებითი ემოციების გარეშე ლაპარაკი გუშინ მართლაც ცოდვა იყო...

ოლიმპიური ჩანართი იხილეთ მეშვიდე-მეთერთმეტე გვერდებზე

# 9 მეგობარი, რომელთაც მწვრთნელი ეზოდიშება

საქართველოს ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ქართველია შოტლანდიურ პრემიერლიგაში.

თბილისის „დინამოდან" ამ ზაფხულს „დანდიში" გადაბარგებულმაც უმალ მიიქცია იქაურ ჟურნალისტ-სპეციალისტთა ყურადღება.

შოტლანდიის ჩემპიონატის ჩინებულად დამწყებ „დანდიდან" ვინმეს თუ გამოარჩევდნენ, პირველ ყოვლისა ჩვენებურს,ნაირ-ნაირი ეპითეტებით შეამკეს. ეგ კი არა, კლუბის ქომაგებმა აგვისტოს საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს.

„პირველი მატჩი, რომელიც ჩვენს სტადიონზე ვიხილე, „დანდისა" და „კიოლნის" შეხვედრა იყო. ეს 1963 წელს მოხდა. მას მერე გიორგი ნემსაძის დარ ფეხბურთელს ჩვენს გუნდში არ უთამაშია" — წერს „დანდის" ერთ-ერთი გულშემატკივარი.

დებიუტი გიორგის მართლაც ბრწყინვალე ჰქონდა. კლუბმაც ორი მატჩი რომ მოიგო, სხვებს ზემოდან დაჰყურებდა, ცხრილს თავში მოექცა. მერე ჩვენებურმა და მისმა გუნდმაც თამაშს უკლეს, ისე ვეღარ ყოჩაღობდნენ. ეს „დანდის" სატურნირო მდგომარეობაზეც აისახა. ზედიზედ ოთხი მატჩის ვერმომგებნი მეხუთე ადგილზე დაქვეითდნენ. ბოლო ტურში „დანდიმ" და ნემსაძემ შოტლანდიაში უტიტულოვანეს „გლაზგო რეინჯერსს" უმასპინძლეს და ფრესაც გამორჩნენ — 1:1. გიორგის კი მატჩის მიწურულს ძალიან რეალური საგოლე მომენტი გაუცუდდა.

გიორგი ნემსაძესთან ინტერვიუც ამ მატჩის თაობაზე კითხვით დავიწყეთ. „დანდიში" გადასვლის შემდეგ მასთან არ გვისაუბრია.

— „რეინჯერსი" რომ ძალიან ძლიერი გუნდია, ამას ჩემი მტკიცება არც უნდა, ეს აგერ, ახლა, ჩემპიონთა ლიგაშიც გამოჩნდა. გადაუჭარბებლად ვიტყვი, შეგვეძლო სტუმრების დამარცხება. დაცვითი ფეხბურთი ვითამაშეთ და ამან გაგვიმართლა. ის გოლიც შემთხვევით გაგვიტანეს. ჩვენ კი რამდენიმე მომენტიდან მხოლოდ ერთი შევაგდეთ და ანგარიშის გათანაბრებაღა მოვახერხეთ.

**— შენც ხომ შეგეძლო მატჩის ბოლოს გაგეტანა?**

— ჩემით შევქმენი ის მომენტი და კარგად ვეღარ დავარტყი. კუთხური ჩავაწოდე და ბურთი ისევ მე დამიბრუნდა. პირით ხაზთან სამი მეტოქე გავაცურე, კარს მივუახლოვდი, ვიფიქრე, პასს გავაკეთებ-მეთქი, მერე დარტყმა გადავწყვიტე, ისევ პარტნიორებს გავხედე და ამასობაში დავიბენი, არც პასი გამომივიდა და ძალიან სუსტადაც დავარტყი. ყველაფერი რაღაც წამის მეასედში მოხდა. სხვათა შორის, ამ მატჩის მერე ერთი ძველი ნაცნობიც ვნახე. თურქმა თოგაიმ მიცნო, გაიხსენა, „ტრაბზონში" რომ ვთამაშობდი და დიდხანს ვილაპარაკეთ.

**— წინა შეხვედრებში გქონდა რამდენიმე საგოლე შანსი, მაგრამ ერთიც ვერ გამოიყენე. მწვრთნელმა ამპლუა ხომ არ შეგიცვალა?**

— ხან სად მათამაშებს, ხან სად, საყრდენად, გამთამაშებლად, „რეინჯერსთან" კი მეხუთე ნახევარმცველად, თავდამსხმელების უკან გამამწესა.

**— მერე...**

— არ გამჭირვებია. ამ პოზიციაზე თამაშის გამოცდილება კი მაქვს. ისე, ერთ ადგილას გაჩერებული არ ვყოფილვარ, დაცვაშიც ხშირად მიწევდა ჩასვლა, მით უმეტეს, „რეინჯერსთან".

**— კარგად შეეწყვე ახალ გუნდს?**

— ძალიან მეგობრული გუნდია. ძირითადად სულ უცხოელები ვართ. ამ სეზონის წინ ჩემიანად იტალიელმა მწვრთნელმა ივანო ბონეტიმ ცხრა ახალი ფეხბურთელი მიიწვია და დაგვამეგობრა.

**— თავად ბონეტიზე რას იტყვი?**

— ტიპური იტალიელია. გონიერი მწვრთნელია, მისგან ბევრს ვსწავლობ. თანაც ახალგაზრდაა, 36 წლის და ურთიერთობაშიც უშუალო.

**— თანაც თამაშობს...**

— ჰო, როცა საჭიროდ ჩათვლის, ან რომელიმე მცველს თამაში არ შეუძლია, გვეუბნება, დღეს მოედანზე თქვენი პარტნიორი ვიქნებიო. ერთხელ „ჰართსთან" კი...

**— რა „ჰართსთან"?**

— 1:0-ს ვიგებდით და 90 წუთი ამოწურული იყო, მსაჯის წამატებული დრო მიდიოდა, ბონეტის ჩვენს საჯარიმოში თანაგუნდელმა ბურთი დაუგორა, მას კი თავდამსხმელი მიეპარა, ბურთი წაართვა. ბონეტის რაღა ექნა და მეტოქე ხელით გააჩერა. მსაჯმაც არ დაგვინდო, თითი პირდაპირ პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა. ანგარიშიც გაგვითანაბრეს. მერე, გასახდელში ბოდიში მოგვიხადა და გაიხუმრა კიდეც.



გიორგი ნემსაძე

**— საწყის ორ თამაშში რომ გაიმარჯვეთ და ხუთი გოლი გაიტანეთ, მის მერე ვეღარც იგებთ და გოლებსაც მოუკელით. რისი ბრალია?**

— ხომ ვთქვი, გუნდში ცხრა ახალი ფეხბურთელია. თავიდან კი ყოველთვის ასეა, საქმეს დიდი ენთუზიაზმით შევუდექით და დამსახურებულადაც ვიგებდით. მერე მეტოქეები დარწმუნდნენ, ხელწამოსაკრავი გუნდი რომ არ გვყავს და გაორმაგებული ენერგიით გვეთამაშებოდნენ. ჩავარდნის უმთავრესი მიზეზი კი, მგონი, მაინც შეუთამაშებლობაა, ცოტა დრო და უფრო გამოვიწრთობით. ჩვენ მოსამზადებელ პერიოდში ბევრიც არ გვითამაშია, სულ სამი-ოთხი მატჩი ჩავატარეთ. ისე, აქაურ სპეციალისტებს რომ ჰკითხო, საკმაოდ გამართულ, აზრიან ფეხბურთს ვთამაშობთ.

**— შენ ასე არ ფიქრობ?**

— რა თქმა უნდა.

**— აგვისტოში საუკეთესობას ელოდი?**

— რა ვიცი, ამაზე არც მიფიქრია და არც ვიცოდი, ქომაგები თუ ყოველთვიურად გუნდში საუკეთესოს ასახელებდნენ. ძალიან გამიხარდა და მესიამოვნა, თავიდანვე ასე რომ დამაფასეს.

**— წლეულს „დანდის" რა მიზანი აქვს?**

— უეფას თასზე თამაში გვაქვს ჩაფიქრებული. საამისო პოტენციაც გვაქვს და ვნახოთ, თუ შევძლებთ. უახლოეს მატჩში „დანდი იუნაიტედი" უნდა დავამარცხოთ, მერე ერთი გამოტოვებული თამაში გველის და თუ ისიც მოვიგეთ, ძალიან კარგი იქნება, მიზანიც უფრო რეალური გახდება. ისე კი, ჩემთვის უმთავრესი ნაკრებია. 7 და 11 ოქტომბერს რთული მატჩები გველის და ღირსეულად თამაში გვმართებს. კმარა ამდენი წარუმატებლობა. პირადად მე თავს არ დავზოგავ.

**ქობა ინასარიძე**

# ბოლტონი და ღუდუშაური: ერთად პრემიერლიგისკენ?

**საქართველოს** ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების ყოფილი წევრი, ბოლო ხანს კი უგუნდოდ დარჩენილი გიორგი ღუდუშაური კარიერას ალბათ ინგლისის პირველი დივიზიონის „ბოლტონში" გააგრძელებს.

გიორგი, რომელიც გასულ სეზონში „თბილისში" თამაშობდა, ოდნავ ადრე კი თბილისის „ლოკომოტივსა" და მოსკოვის „ტორპედოში", უკვე რამდენიმე დღეა, ინგლისშია, მან ბოლტონელთათვის თავის მოწონებაც მოასწრო.



გიორგი ღუდუშაური

ბრიტანელები თანახმა ყოფილინ ჩვენებური თავიანთ კლუბში ჩარიცხონ, თუმცა ერთი პრობლემაა — უცნობია ინგლისის შრომის და დასაქმების დეპარტამენტი ღუდუშაურს თავის ქვეყანაში მუშაობის უფლებას მისცემს თუ არა.

სხვა ჯერჯერობით არაფერი ვიცით, მასთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ. ეს ამბავი კი გუშინ გავიგეთ.

„ბოლტონი" პრემიერლიგიდან 1998-99 წლების სეზონში რომ გავარდა, ახლა უკან დასაბრუნებლად იბრძვის. 5 ტურის შემდეგ გუნდი 4 მოგებით და ერთი ფრით „უოტფორდთან" მეორე-მესამე ადგილებს იყოფს.

შეგახსენებთ, პირველი დივიზიონის „ვულვერჰემპტონში" ერთი ქართველი — თემურ ქეცბაიაც თამაშობს.

გიორგი ღუდუშაურს საქართველოს ეროვნულ გუნდში ალექსანდრე ჩივაძის მწვრთნელობისას 8 მატჩი აქვს ჩატარებული.

**ლუკა თალაკვაძე**

# სოლოღაშვილის საქმე: ლიტვა-მალტურად

**საქართველოს** ახალგაზრდულ ნაკრებს, რომელმაც ბოლო ამხანაგური მატჩი ინგლისთან 1:6 წააგო, შესარჩევი ტურნირი ჯერ არ დაუწყია, ისეა მერვე ჯგუფში მესამე ადგილზე.

ასე იყო აქამდე ორ კვირასაც, ანუ პირველი ტურის შემდეგ, რომელიც ხუთგუნდიანი ჯგუფის ნაბოლარად განთესილმა საქართველომ გამოტოვა.

მაშ, ახლა რაღა შეიცვალაო, იკითხავთ და გიპასუხებთ.

გუშინ უეფას საკონტროლო და სადისციპლინო საბჭომ ლიტველ ახალგაზრდებს რუმინელ თანატოლებთან 0:2 წაგებულ მატჩში 0:3 დამარცხება ჩაუთვალა.

უეფას ვერდიქტის მიზეზი ქართული ფეხბურთისთვის არცთუ შორეული წარსულიდან ნაცნობია — ლიტვის ძირითად შემადგენლობაში 89 წუთს ითამაშა ანდრიუს იოკშასმა, არადა, მას ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციის გასვლამდე ერთი ტური კიდევ ჰქონია დარჩენილი.

ხომ გახსოვთ, თასების თასზე სომხურ „არარატთან" ორგაფრთხილებიანი სოლოღაშვილის თამაშის და ორი მატჩის (4:2, 2:0) მომგები „ბათუმის" მუქთად გამოვარდნის ამბავი.

ჰოდა, ამის მერე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაზე მოუწესრიგებელი ფედერაცია ძნელად გვეგულებოდა და აჰა, ფერი ფერს და მადლი ღმერთს, ლიტვაც გამოჩნდა.

უწესრიგობა უწესრიგობად და ევროპაში თურმე ლიტველებზე სულწასული ხალხიც ყოფილა.

გუშინვე უეფამ მალტის ახალგაზრდულ ნაკრებს ჩამოართვა ჩრდილოეთ ირლანდიასთან 1 სექტემბერს 1:1 ნათამაშევ მატჩში მოპოვებული ერთი ქულა. ბრიტანელებს დიდი ანგარიშით გამარჯვება მალტელი მარკ ბონიჩის გამო ჩაეთვალათ. ჯუჯაკუნძულელს სამმატჩიანი სასჯელის მოხდამდე კიდევ ორი მატჩი უნდა მოეცადა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 6 სექტემბერს სწორედ ლიტვას სტუმრობს, ოთხ დღეში კი იტალიას.

როგორ გამოიყურება უეფას გუშინდელი ვერდიქტის შემდეგ მერვე შესარჩევი ჯგუფის ცხრილი, აქვე იხილეთ.

**ვახტანგ ბზიკაძე**

**ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 იტალია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| 2 რუმინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| 3 საქართველო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 4 უნგრეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| 5 ლიტვა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

# ჯანაშიადან ჯიქიამდე

**ხუთშაბათს** უეფას თასზე მოთამაშე ექვსი „ქართული" გუნდიდან წარმატებას მხოლოდ ერთმა — მოსკოვის „ლოკომოტივმა" მიაღწია. რკინიგზელებმა შინ ბულგარეთის „ნეფტოხიმიკი" დაამარცხეს, ცხადია, ზაზა ჯანაშიას დიდი დახმარებით.

„ლოკომოტივის" მიერ შინაურ სარბიელზე ჩატარებული მატჩების მსგავსად, ჯანაშია ბულგარელებთანაც საუკეთესოდ აღიარეს თავის გუნდში. ზაზამ მთელი თამაშის განმავლობაში ძალიან იაქტიურა და მასპინძელთა სამ გოლშიც დაიდო წვლილი.

მე-20 წუთზე სარქისიანმა მისი პასით წონასწორობა აღადგინა. ამის შემდეგ მეტოქეებმა კიდევ თითო გოლი გაუტანეს ერთმანეთს, მერე კი საქართველოს ნაკრების თავდამსხმელის ჯერიც დადგა — 62-ე წუთზე პიმენოვის პასს მან შეუჩერებლივ უძლიერესი დარტყმა და ის კულბიტი მოაყოლა, რომლითაც ტრადიციულად გატანილ გოლს აღნიშნავს ხოლმე. ამას ზაზა ორ წუთში კიდევ გააკეთებდა, მაგრამ მისი კარგი დარტყმა მეკარემ მოიგერია, თუმც დამატებაზე პიმენოვმა ივარგა — 4:2. ქართველს ამის შემდეგაც შეეძლო გატანა, თუმცა ერთხელ მიზანს ააცილა, მეორედ კი ბურთს მცველი გადაეფარა. „ზაზა თავის გუნდში საუკეთესო იყო. ყველა ბურთისთვის თავგამოდებით იბრძოდა, მცველებსაც ეხმარებოდა" — წერს „სპორტ ექსპრესი", რომელმაც ყველაზე მაღალი შეფასება, 7,5 ბალი ჩვენებურს დაუწერა.

„ალანია" ვლადიკავკაზში შერცხვა. პოლონურ „ამიცასთან" ალექსანდრ ავერიანოვი და მისი გუნდი ორრაუნდიანი ბრძოლის ბედის პირველივე მატჩში გადასაწყვეტად ემზადებოდნენ. გადაწყვიტეს კიდეც, ოღონდ...

„თამაშის წინ ვინმეს 1:1 ან 0:0 რომ შემოეთავაზებინა, უმალ დავთანხმდებოდი. 3:0-ს თუ მოვიგებდით, ვერ წარმოვიდგენდი" — გულწრფელად აღიარა ნამატჩევს „ამიცას" თავკაცმა სტეფან მაევსკიმ.

„ალანიამ" 0:3 წააგო, ოსთა შორის საუკეთესო კი მეკარე მანდრიკინი გახლდათ. ვფიქრობთ, ამით ყველაფერი ნათქვამია.

„ალანიაში" მამუკა წერეთელმა 90 წუთი ითამაშა, მიხეილ აშვეთია კი 0:2-ზე, 77-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე და თავის გუნდს ვეღარაფრით დაეხმარა.

მიხეილ ყაველაშვილისა და გოჩა ჯამარაულის „ციურიხი" შინ ბელგიურ „გენკთან", რომელსაც საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" ყოფილი თავკაცი იოჰან ბოსკამპი მწვრთნელობს, ტერიტორიულ უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ 1:2 წააგო. ქართველებმა მთელი მატჩი უცვლელად ჩაატარეს, მაგრამ ძალიან ცუდად. „ჯამარაული შესვენებამდე თითქოს მინდორზე არც კი იყო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, „ციურიხი" ათი კაცით თამაშობდა. ქართველი თავის ნიჭს იშვიათად თუ ავლენდა" — წერს შვეიცარიული გაზეთი „ბლიკი".

ჯამარაულის ნიჭი ერთადერთხელ გამოჩნდა და „გენკის" კარში საპასუხო გოლიც გავიდა — შონ ბარტლეტმა გოჩას პასით გაათანაბრა. მატჩის მიწურულს მასპინძლებს მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ მოგებას ვინ ჩივის, მსაჯის მიერ წამატებულ მეოთხე წუთზე ბელგიელებმა ჯარიმიდან გამარჯვების ბურთი შეაგდეს.

კიშინიოვის „ზიმბრუმ" ბერლინის „ჰერტასთან" შეხვედრა უქართველებოდ დაიწყო და ქართველებით დაამთავრა. ლადო ახალაია და ლევან გვაზავა მეორე ტაიმში შევიდნენ მინდორზე. ამ დროს „ჰერტა" უკვე 2:1-ს იგებდა. გერმანელებმა 25-ე წუთამდე გვარიანად ინერვიულეს. ჯერ ეპურეანუსგან გაუშვეს გოლი, მერე ერთი-ორჯერ კიდევ გადარჩნენ, თუმცა ბოლოს ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც უნდა დამთავრებულიყო. ქართველები მოლდოვურ კლუბს ვერაფრით შეეწივნენ.

ალეკო კაიდარაშვილის „კრივბასი" ფრანგულ „ნანტს" მასპინძლობდა. უკრაინელთა თავკაცმა გენადი ლიტოვჩენკომ ჩვენებურის მოედანზე გაყვანა საჭიროდ არ ჩათვალა. აი, მამია ჯიქიამ კი პოლონური „რუხის" შემადგენლობაში 62 წუთი ითამაშა მილანის „ინტერის" წინააღმდეგ და, ალბათ, დიდი გამოცდილებაც შეიძინა.

**განო ოქრობირიძე**

## გერმანია

V ტური

ლაუტერნი 3:1 კიოლნი

1:0 ჯორკაეფი (103), 1:1 ტიმი (18), 2:1 რამზი (88), 3:1 კომლენოვიჩი (90)

გაძევება: გრამოცისი (89, ლაუტერნი)

II ბუნდესლიგა. V ტური

დუისბურგი 4:1 ზანქტ პაული

ჰანოვერი 3:0 ვალდჰოფი

## პორტუგალია

IV ტური

გიმარაეში 3:1 ჟილ ვისენტე

## ინგლისი

I დივიზიონი. VIII ტური

შეფილდი 2:0 ბლექბერნი

## ჩეხეთი

VII ტური

სპარტა 3:0 დრნოვიცე

ბოჰემიანსი 4:0 ბლშანი

## თურქეთი

V ტური

ქოჯაელი 1:4 გალათასარაი

## იტალია

სერია B

კიევო 2:1 ტრევიზო

## ავსტრია

XI ტური

ლინცერი 2:1 შტურმი

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე
12
5 ტური
ქრონიკა

# რეალური სიზმარი

## მეხუთე ტურის უკანასკნელი ორი დღე

„— გამარჯობა, ეროვნულის მეხუთე ტურო, როგორ გიკითხოთ?

— გაგიმარჯოს. გმადლობთ, არა მიშავს. ჯერჯერობით ვუძლებ სიდუხჭირეს, მაგრამ...

— საფიქრალი მოგძალებია.

— არ მითხრა, გავთავდი კაცი. ცოტაც და დარდი გადამიყოლებს.

— მაინც რა შეგემთხვა ასეთი უშველებელი?

— რაღა რა შემემთხვა. ჩემებრ უქონელი არავინ მეგულება ამქვეყნად. ფეხბურთის ფედერაცია კი მომდგომია და მეხვეწება, ერთი ექვსიოდ მშიერი, ობოლი და განწირული გუნდი შემინახე ორი დღითო. ორ დღეს ამათ რა გაუძლებს, თანაც ახლა გაჭირვებისგან ისე არიან გამგელებულები, რომ არავის და არაფერს ინდობენ.

— ვერ გქონია საქმეები რიგზე.

— განა ჩემს თავს ვტირი და ვუფრთხილდები. მე ისედაც სამი დღის სიცოცხლელა დამრჩენია. იმას ვგულისხმობ, თან ვინმეს ცოდვა აღარ წავიყოლიო. ისედაც ჯოჯოხეთში გამამწესებენ და ზედმეტი ტვირთის მზიდავი მე აღარ ვარ.

— რა ტვირთზე და ცოდვებზე მელაპარაკები, ფეხბურთში ისეთი რა უნდა მოხდეს?

— ჰმ, შენ, კაცო, ჭურში ხომ არ ზიხარ. ყველაზე დიდი ცოდვა ქართული ფეხბურთია. ვერ ხედავ, მსაჯებს მოსაკლავადაც რომ დასდევენ?!

— მკვდარი მსაჯი? მივხვდი, საითაც უმიზნებ. ნუ გეშინია, არაფერი მოხდება. მილჩენკოს გამოწვრთნილები არიან. 3 200 მეტრი სულ ორიოდ წუთში გაურბენიათ და ფიზმომზადებაში ბევრ ჩვენებურ ფეხბურთელსაც აჯობებენ. თანაც ქართული პოლიციის იმედიც გქონდეს.

— აბა, კარგადაა ჩემი საქმე?

— კი, ნუ გეშინია. როგორც სხვები, შენც ისე ჩაბარდები ისტორიას.

— აგაშენა ღმერთმა, ცოტა გულზე მომეშვა, მაგრამ მაინც, ხომ იცი, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

— მოდი, შენს გაჭირვებულებზე ვილაპარაკოთ. მთლად უიმედოდ არიან?

— აბა, რა გითხრა. დიდ კაცთან პატარა კაცსაო... ხომ გაგიგია. შენ რომელი გაინტერესებს?

— ყველაზე უქონელით დავიწყოთ.

— კი, ბატონო. ხომ ხედავ, აგერ ბოლოში დგას. მთლად დაბეჩავებული და მობუზულია საწყალი. სახელად „იბერია“ ჰქვია. ისე, გულიანი კია. მოწინააღმდეგეს თავიდანვე ისეთ ბრძოლას გაუმართავს, რომ ვეფხვი გეგონება. მერე შუა გზაზე ძალა ელევა და ლგება მორჩილად. მეტოქეები კი არ ინდობენ.

— იქნებ როგორმე მოგეფერიანებინა?

— არ გამოვა ეგ საქმე. ყველაფერი ვცადე, მაგრამ სამტრედიელებს ვერაფერი მოვუხერხე. ჯერ სახლიდან გააგდეს, კარდაკარ დაწანწალებდა. ერთი ხანობა უცხოეთში გადაიკარგა. მერე გამოჩნდა ვიღაც ღვთისნიერი და შინ კი მიაბრუნა, მაგრამ იქ არავის უყვარს და ისევ ეულია.

— წასულა „იბერიას“ საქმე და ეგაა...

— ასეა. შეხედე, როგორი ნაპატივები მოწინააღმდეგე ჰყავს. როგორც მითხრეს, გულში ჩემპიონობა ამოუჭრია. მათგან დანდობა არ იქნება. ცოცხლად გამიტყავებენ საცოდავს.

— მაგათ ფედერაციაში ემუქრებიან.

— რატომ კაცო?

— რა ვიცი, წინა ტურში რაღაც დაუშავებიათ.

— ეგ რაღა საშველია. უფრო გამგელებულები გამოვლენ მინდორზე. არა, ამათი საქმე გარკვეულია. სხვაზე ვთქვათ.

— ისეთი არავინ გყავს, რომ გაგიმართლოს?

— აგერ, უწინ სახელიანი და ლომგული, პირველი რიგში დგას. ვერ ხედავ, ფერ-ხორცი ჯერაც შერჩენია. „დინამო“ ჰქვია. ბედს არ ეგუება, ურჩობს ეს ოხერი. პატრონს პრობლემები გასჩენია, მტერს არ უსურვებს კაცი, ისეთი, მაგრამ ახლა ყველა მასზე ზრუნვას იჩემებს. ვნახოთ, მგონი, ეშველება.

— ხვალისთვის თუ გყავს ფორმაში?

— ძალიანაც არა, მაგრამ მეტოქის რიგებშია დიდი არეულობა და ამისი გვეიმედება.

— „ბათუმს“ რაღა ეტაკა?

— რა ვიცი. ამ გაგანია ჩემპიონატში მოუნდათ მეპატრონეებს რეორგანიზაცია და გარდაქმნა. პლასტიკური ოპერაცია ჩაუტარებიათ და როგორც ამბობენ, ალგენით პროცესსა და გარემოსთან შეგუებას დაახლოებით წელიწადი დასჭირდება.

— შენ კიდევ გეცოდინება რამე.

— არაფერი, გარდა იმისა, რომ ბათუმში მთლად კარგად ვერ არის საქმე. რაღაც უცნობი ვირუსი შეჰყრია გუნდს, არასტერილურ სამედიცინო ხელსაწყოებს აბრალებენ. „ბათუმი“ ამან დააავადაო.

— აბა, მოუგია „დინამოს“.

— ნამდვილად. ესენი უკან არაფერზე დაიხევენ, ხოლო „ბათუმი“ ოპერაციის შემდეგ სულ ნორჩია.

— ამას რაღა გაუჭირდა. ერთი შეხედვით ესეც ნაპატივები ჩანს. რიგში მესამედ რად ჩაგიყენებია.

— „კოლხეთზე“ მეკითხები? მისი დიაგნოზი ზუსტად ვერ დავადგინე. არადა, სულ რაღაც სამი თვის წინ რა ჯანმრთელი იყო. დიდი და პატარა ყველა ბეჭზე გააკრა.

ამბობენ, პატრონს ფული შემოაკლდა და მთელი ზაფხული მკაცრ დიეტაზე ჰყავდაო. ზოგიერთ ფეხბურთელს ასკეტური რეჟიმისთვის ვერ გაუძლია და გაპარულა. დღესაც იმათ მისტირიან ფოთლელები. ზოგსაც ტრავმებმა დარია ხელი, ხოლო ახლები ფოთის ჰავას და კოლოს ჯერაც ვერ შეგუებიან.

— აქვს რაიმეს შანსი?

— არა მგონია. ძველი ინფორმაციით, მეტოქე ძალიან მაძღარი და მდიდარია, ჯერჯერობით უძლიერესები ეგენი ყოფილან საქართველოში.

— ინფორმაციები რად დაგძველებია?

— ქუთაისში ჟურნალისტებს სტადიონზე არ უშვებენ და სიახლეს საიდან გავიგებდი.

— ვითომ რატომაო?

— ჩვენ რაღაც შეგვშლია და თქვენ სიმართლე დაგიწერიათო.

— ვერაფერი მიზეზია, თავი ნუ მომიკვდება.

— კარგი ეშმაკი ჩანხარ. მე მალაპარაკებ, ვითომ არაფერი იცი. შენმა გაზეთმა არ მაცნობა გუშინ დილით, დროებით ქუთაისიდან მხოლოდ მატჩის ტექნიკურ მონაცემებს დასჯერდითო? შენ მომატყუებ მე?

— ჰო, ნუ დაიქოქე, ეს ბრაზიანი ვინღაა?

— ნეტავ! ამის ჯიგარი მისცა ყველას. ახლა ქომაგი როგორი ჰყავს. მაგათ ბოლნისში საფრანგეთის ნაკრები რომ ჩაუყვანო, იტყვიან თამაშის ბოლოს, მსაჯს რომ არ გავეფუჭებინეთ, მოვიგებდითო. ძალიან ემოციური ხალხია.

— ხვალ რას იტყვიან?

— ალბათ, ახალს არაფერს. ამათი მეტოქეც ძალიან მდიდარია. საქართველოში რაც მატარებელი დადის, სულ მაგათია. ტყუილად კი არ ჰქვია „ლოკომოტივი“. ბრინჯაოს მედალი უკვე აქვთ, მაისში თასიც დაისაკუთრეს, ახლა ჩემპიონობა სურთ.

— კი მაგრამ, სულ რამდენს უნდა ჩემპიონობა?

— ამათი ამბავი არ იცი, უფლება რომ მისცე, ყველა პირველობას დაიჩემებს.

— „სიონი“ რას მოიმკის?

— სხვა დროს რა ვიცი, ახლა კი იქნებ ფრეს გამოჰკრას ხელი. კი მეეჭვება, მაგრამ მცირე იმედი მაინც ბჟუტავს.

— ეს ვინაა, ერთ ადგილზე რომ ვერ ჩერდება?

— სახელი აქვს ნამდვილად საბრძოლო. „გორდამ“ ბევრი გაჭირვება გამოიარა, ლამის სიკვდილის პირას მივიდა, მაგრამ ერთმა უცნაურმა კაცმა სულზე მიუსწრო. უჭირს აქ გაჩერება. შემპირდნენ, მალე წავიყვანთო. ეს თავადაც იცის და ამიტომაა აცუნდრუკებული.

— მეტოქე რა გვარისაა?

— ოოო, ჭირგამოვლილია ისიც. კარგი დროებაც უნახავს და... ბოლო დრომდე ერთი ბედაურიღა შერჩენოდა და იმას დააგელვებდა ალმა-დალმა. ახლა ისე აიწყო საქმეები, რომ ლეგიონერიც კი ჰყავს. ადრინდელი სახელი კი დაიტოვა. ქომაგებიც ასე ამხნევებენ — გასწი, მერანო!

— რომელი მოიგებს?

— ვერცერთი.

— ნაღდი პროგნოზია?

— წყალი არ გაუვა.

— ეს რატომაა სულ წყნარად, ჯერ ხმა არ გაუღია.

— მაგის სენს ზარმაცობა ეწოდება. მეტი არაფერი სჭირს. დილაობით თუ გააქნევინებ ხელს, თორემ მერე სულ მხართეძოზეა წამოგორებული. ისე, მაგის სიჩუმის გეშინოდეს. კარგად ვიცნობ. საშიშია, სადაც არ ელი, იქ დაიქუხებს. ბევრი მინახავს მისგან გამწარებული.

— ახლა რას ფიქრობს?

— ღმერთმა იცის. ხვალ ისეთ ჯანმრთელ და ახალგარდულ გუნდს ხვდება, რომ არა მგონია, რამე მოუხერხოს. ალბათ, ფანდებს ხლართავს, რაიმე მზაკვრულს.

— ეხერხება?

— იცოცხლე...

— საცაა ალიონი მოგვეპარება. დავემშვიდობოთ ერთმანეთს. აბა, ხვალამდე, ყოჩაღად იყავი.

— მშვიდობა მოგვცეს ღმერთმა. თუმცა სადღაა მშვიდობა...“

**მამუკა ძვანტალიანი**



ბოლო „დინამო“ — „ბათუმი“ 0:0. მას შემდეგ ექსჩემპიონიცა და ყოფილი თასის მფლობელიც გვარიანად გამოიცვალა

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 4 | 4 | 0 | 0 | 7:0 | 7 | 12 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 |
| 2 ლოკომოტივი | 4 | 3 | 0 | 1 | 12:2 | 10 | 9 | 2 | 1 | 0 | 1 | 6:1 | 5 | 3 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 6 |
| 3 ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 4 |
| 4 გორდა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:9 | -3 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:8 | -6 | 1 |
| 5 დილა | 4 | 2 | 1 | 1 | 5:6 | -1 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | -2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 6 მერანი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 2 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 7 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 7 ბათუმი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:7 | -1 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |
| 8 დინამო | 4 | 2 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 6 |
| 9 თსუ | 4 | 1 | 0 | 3 | 6:11 | -5 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 0 | 3 |
| 10 კოლხეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | -2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | -2 | 0 |
| 11 სიონი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:5 | -2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | -1 | 3 |
| 12 იბერია | 4 | 0 | 0 | 4 | 1:7 | -6 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | -2 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |

ქუთაისი. „ტორპედო“. 17 სექტემბერი. 18 საათი

### ტორპედო — კოლხეთი

მსაჯები: ა. შილაკაძე, ვ. ჩოჩიშვილი, ს. შალამბერიძე (ყველა თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

თბილისი. „ეროვნული“. 17 სექტემბერი. 18 საათი

### დინამო — ბათუმი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. მაღალურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

რუსთავი. „გოლადი“. 17 სექტემბერი. 18 საათი

### გორდა — მერანი

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი

მცხეთა. „არმაზი“. 17 სექტემბერი. 18 საათი

### თსუ — დილა

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ჯ. ბუიშვილი, ბ. ბრეგვაძე (ორივე ჭიათურა); მ. მისურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ლ. ციციანი

სამტრედია. „ეროსი მანჯგალაძე“. 18 სექტემბერი. 18 საათი

### იბერია — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, ზ. მჭედლიშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი

ბოლნისი. „თემურ სტეფანია“. 18 სექტემბერი. 18 საათი

### სიონი — ლოკომოტივი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი, ა. მეშკოვი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 5 - დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| 4 - გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| იონანიძე | ტორპედო |
| 3 - ა. მუჯირი | ბათუმი |
| ფუფუნაშა | თსუ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი. პირველი ეტაპი
### პირველი მატჩები. 11-14 სექტემბერი

UEFA CUP

კრივბასი (უკრაინა) 0:1 ნანტი (საფრანგეთი)
0:1 ზიანი (81)
ვორსკლა (უკრაინა) 1:2 ბოავიშტა (პორტუგალია)
1:0 მელაშჩენკო (38), 1:1 ჟორჟე კოუტუ (50), 1:2 სილვა (89)
ბრონდბიუ (დანია) 1:2 ოსიეკი (ხორვატია)
0:1 გასპარი (32), 1:1 იონსონი (38), 1:2 მიტუ (55)
პობედა (მაკედონია) 0:2 პარმა (იტალია)
0:1 სერჟიუ კონსეისაუ (22), 0:2 დი ვაიო (72)
ლოზანა (შვეიცარია) 3:2 ტორპედო (რუსეთი)
0:1 გაშკინი (14პ), 1:1 კუცბა (22პ), 1:2 ლიტვინოვი (33), 2:2 კუცბა (48), 3:2 მაცონი (51)
როდა (ჰოლანდია) 0:2 ინტერი (სლოვაკეთი)
0:1 ნემეცი (22), 0:2 ბაბნიჩი (69)
პაოკ (საბერძნეთი) 3:1 ბეითარი (ისრაელი)
0:1 ჰამარი (31), 1:1 კამშსი (44), 2:1 ა. კოენი (49ს.კ.), 3:1 ნალიცისი (55)
ბრიუგე (ბელგია) 2:0 აპოელი (კვიპროსი)
1:0 სიმონსი (37), 2:0 მენდოსა (63)
ცსკა (რუსეთი) 0:0 ვიბორგი (დანია)
სელტიკი (შოტლანდია) 2:0 ჰიკ (ფინეთი)
1:0, 2:0 ლარსონი (14, 25)
გენიონი (საფრანგეთი) 0:0 ირაკლისი (საბერძნეთი)
მიოლდე (ნორვეგია) 0:1 რაიო ვალეკანო (ესპანეთი)
0:1 ალონსო (15)
აიკ (შვედეთი) 0:1 ჰერფიოლგე (დანია)
0:1 ფალკო (23)
ვიტესი (ჰოლანდია) 3:0 მაკაბი (ისრაელი)
1:0 მარტელი (19), 2:0 პეეტერსი (63), 3:0 ამოა (90)
გაძევება: კეისი (71, მაკაბი), ბადირი (76, მაკაბი)
პარტიზანი (იუგოსლავია) 1:1 პორტუ (პორტუგალია)
1:0 რანკოვიჩი (24), 1:1 რენივალდო (89)
სლავია (ჩეხეთი) 3:0 აკადემისკი (დანია)
1:0 კუხარი (30), 2:0 დოშეკი (53), 3:0 კუხარი (74)
ლილესტრიომი (ნორვეგია) 3:1 დინამო (რუსეთი)
1:0, 2:0 კრისტინსონი (8, 14), 2:1 რომაშჩენკო (43), 3:1 კიპლდერგი (69)
ცსკა (ბულგარეთი) 1:2 მტკ (უნგრეთი)
1:0 იანევი (7), 1:1 ფერენცი (50), 1:2 კუტორი (70)
ჰალმსტადი (შვედეთი) 2:1 ბენფიკა (პორტუგალია)
1:0 სვენსონი (35), 1:1 ვან ჰოიდონკი (40), 2:1 სელაკოვიჩი (57)
დუნაფერი (უნგრეთი) 0:1 ფეიენოორდი (ჰოლანდია)
0:1 მოლნარი (60ს.კ.)
რაპიდი (ავსტრია) 3:0 იორგრიტე (შვედეთი)
1:0 ვაგნერი (20), 2:0 სავიჩევიჩი (27), 3:0 რატაიჩიკი (80)
ვაშაში (უნგრეთი) 2:2 აეკ (საბერძნეთი)
0:1 პეტო (48ს.კ.), 0:2 ნიკოლაიდისი (51), 1:2 პეტო (89), 2:2 კომოდი (90)
ნაპრედაკი (იუგოსლავია) 0:0 ოფი (საბერძნეთი)
სლოვანი (სლოვაკეთი) 0:3 დინამო (ხორვატია)
0:1 მუიჩინი (38), 0:2 ცვიტანოვიჩი (61), 0:3 ფილიპოვიჩი (90)
კოშიცე (სლოვაკეთი) 2:3 ბრაცერი (ავსტრია)
1:0 ზვარა (54პ), 1:1 აკვუეგბუ (58), 2:1 ჟამბორი (76), 2:2 სტანდფუსტი (84), 2:3 პამიჩი (90პ)
ნორჩიოპინგი (შვედეთი) 2:2 ლიბერეცი (ჩეხეთი)
1:0 ფლოდსტრიომი (32), 1:1 ლიუნი (70), 1:2 ნეზმარი (77), 2:2 პ. ანდერსონი (78)
ბაზელი (შვეიცარია) 3:2 ბრანი (ნორვეგია)
1:0 მაგრო (7), 1:1 ლუდვიგსენი (47), 2:1 ჩუგა (53), 2:2 ჰელსტადი (72), 3:2 კროიცერი (86პ)

### ციურიხი 1:2 გენკი
0:1 პაასი (52), 1:1 ბარტლეტი (64), 1:2 ბანი (90)
ციურიხი: ტრომბინი, კვენტინი (კასტილიო 69), ფიშერი, ჯანინი, პალასი, ჰელინგა, ჰელდმანი (ნდლოვუ 79), ჯამარაული, ჩაველაშვილი, ბარტლეტი, ბიულმანი (შასო 72)
მწვრთნელი: ჟილბერ გრესი

### ზიმბრუ 1:2 ჰერტა
1:0 ეპურეანუ (9), 1:1 პრეეცი (43), 1:2 დაეი (67)
ზიმბრუ: რომანენკო, კულიკი, კატინსუსი, ტელესნენკო, ოლექსისი, ბორეცი, გელაზევი, ეპურეანუ (ახალაია 64), ბერკო (გუსილა 70), მიტერევი, არხირე (მვაზავა 81)
ჰერტა: კირალი, ვან ბურიკი, სვერისონი, ალვეში (დაეი 50), ვოში, პრეეცი, სიმუნიჩი (სანე 46), შმიდტი, ჰარტმანი, ბაინლიხი, დაისლერი (ვაიტი 83)
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
7 000 მაყურებელი

### ლოკომოტივი 4:2 ნეფტოხიმიკი
0:1 პეტროვი (10), 1:1 სარქისიანი (23), 2:1 ციმბალარი (32), 2:2 ტიმნევი (54), 3:2 ჯანაშია (62), 4:2 პიმენოვი (64)
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ჩერევჩენკო, დროზდოვი, ევსეევი, სენიკოვი, ჩუგაინოვი, სარქისიანი, ციმბალარი (მამინოვი 61), ზ. ჯანაშია, პიმენოვი (ბულიკინი 66), ხარლაჩევი
მწვრთნელი: იური სიომინი
4 900 მაყურებელი

### რაპიდი 0:1 ლივერპული
0:1 ბარმბი (29)
ლივერპული: ვესტერფელდი, ენრისი, ციგე (ტრაორე 85), სონგი, ბაბელი, ჰესკი (მერფი 35), ოუენი (ფაულერი 81), ჰამანი, ბარმბი, კარაგერი, დიომედი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
9 782 მაყურებელი

### ჩელსი 1:0 სენტ გალენი
1:0 პანუჩი (22)
ჩელსი: კუდიჩინი, პანუჩი, ლებეფი, დესაი, ჰასელბაინკი, უაიზი, ლე სო, დი მატეო, ფლო (გუდიონსენი 73), დალა ბონა (მორისი 73), ძოლა
მწვრთნელი: გრემ რიქსი.
18 196 მაყურებელი

### სარაგოსა 4:1 ვისლა
0:1 კალუჟნი (11), 1:1 აკუნია (30), 2:1 ხოსე იგნასიო (55), 3:1, 4:1 იორდი (64, 69)
სარაგოსა: ხუანმი, ჟამელი (ხორხე გონსალესი 46), აგუადო, კასტანიო, გარიტანო (მარკოს ვალესი 65), ველისკა, ხოსე იგნასიო, პაბლო, აკუნია, პეტერნაკი (რადიმოვი 75), იორდი
მწვრთნელი: ხუან მანუელ ლილო
20 500 მაყურებელი

### ოლიმპია 2:1 ესპანიოლი
1:0 ჟუკიჩი (15), 1:1 გალკა (44პ), 2:1 რაკოვიჩი (45)
ესპანიოლი: მორა, როტჩენი, პოჩეტინიო, გონსალესი, სერანო (მანუელ მარტინესი 73), მარტინ პოსე, გალკა, ნავასი, გარსია, ივან დიასი (კრისტობალი 60)
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
20 000 მაყურებელი

### ბოხუმიანსი 1:3 კაიზერსლაუტერნი
0:1 რაიხი (71), 0:2 ხრისტოვი (75), 0:3 ტარე (79), 1:3 კროუვი (90პ)
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, რამზი, ხრისტოვი, გრამოცისი (კლოსი 46), პეტერსონი, ლოკვენცი (ტარე 72), კომლიენოვიჩი, ჯორკაეფი, შტრასერი, ჰ. კოხი, ბასლერი (რაიხი 20)
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
3 500 მაყურებელი

### ლესტერ სიტი 1:1 ცრვენა ზვეზდა
0:1 აჩიმოვიჩი (1), 1:1 ტაგარტი (43)
ლესტერი: ფლაუერსი, როუეტი, ტაგარტი, იზეტი, ლენონი, სევიჯი, იდი, გაპი, ელიოტი, აკინბი (კრისველი 65), იმპი (კოლიმორი 46)
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
გაძევება: გლოგოვაცი (77, ცრვენა ზვეზდა)
20 190 მაყურებელი

### ტიროლი 3:1 ფიორენტინა
1:0 გილევიჩი (29), 2:0 ბაური (45პ), 3:0 გილევიჩი (50), 3:1 მიატოვიჩი (54)
ფიორენტინა: ტოლდო, ტორიჩელი, ადანი (ტაროცი 69), დი ლივიო, ამარალი, რუი კოშტა, ვანოლი, კიეზა (მიატოვიჩი 46), პიერინი, ბრესანი (ლასისი 46)
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
13 190 მაყურებელი

### ნოვა გორიცა 1:4 რომა
0:1, 0:2 დელვეკიო (17, 19), 1:2 ზლოგარი (27), 1:3 სამუელი (41), 1:4 დელვეკიო (49)
რომა: ანტონიოლი, კაფუ, მარკოს ასუნსაო, დი ფრანჩესკო (ტომაზი 41), მონტელა, ძებინა, აგოსტინო, სამუელი, დელვეკიო (ბალბო 73), გიუგო, მანგონე (ალდაირი 62)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
2 200 მაყურებელი

### გენტი 0:6 აიაქსი
0:1 შ. არველაძე (17), 0:2, 0:3 კნოპერი (40, 70), 0:4 გრონკიაერი (74), 0:5 ვან დერ ვაარტი (82), 0:6 ვან დერ გუნი (84)
აიაქსი: გრიმი, ვიერკლაუ, ბერგდოლმო, გალაშეკი, კივუ, ვან დერ მეიდე, ვიჩგე, შ. არველაძე (ვან დერ ვაარტი 70), კნოპერი (ვან დერ გუნი 74), გრონკიაერი (ბობსონი 80)
მწვრთნელი: კო ადრიაანსე
5 309 მაყურებელი

# სულ ლესტერში ვითამაშოთ
## მუსლინი ინგლისელებს დასცინის

*უეფას თასის მატჩები ორშაბათს დაიწყო, თუმცა მთავარი ამბები ხუთშაბათს მოხდა. გუშინწინ პირველი ეტაპის 39 შეხვედრა გაიმართა. ჩვენ რამდენიმე მათგანი გამოვარჩიეთ.*



ჩელსი — სენტ გალენი 1:0. ძოლა მორიგ გაშვებულ შანსს მისტირის

შოტლანდიურ კლუბებს ევროსარბიელზე ასპარეზობა საზოგადოდ უჭირთ, მით უმეტეს, რომ „ჰართსი" არც „სელტიკია" და არც „რეინჯერსი". მოულოდნელი არაფერი მომხდარა, „შტუტგარტმა" მოიგო, მაგრამ თამაში ისეთი გამოდგა, შოტლანდიელებს ამაყად შეუძლიათ შინ ჩასვლა. უპირველესად მათ კარგად ორგანიზებულ დაცვას ვგულისხმობთ, რომლის გარღვევაც მასპინძლებს, გამუდმებული შეტევების მიუხედავად, ერთობ გაუჭირდათ და ეს მხოლოდ ერთხელ შეძლეს. მაშინაც გოლი უნაკლოდ შესრულებული საჯარიმო დარტყმით გავიდა, რომლის ავტორიც შტუტგარტელთაგან ყველაზე გამოცდილი ბალაკოვია.

საპასუხო მატჩის წინ „ჰართსის" შანსები არცთუ ურიგოდ გამოიყურება. დაცვა, როგორც ვთქვით, კარგი ჰყავთ და თუ შეტევაშიც გააქტიურდნენ, გერმანელებს დიდ თავსატეხს გაუჩენენ. ამის წინაპირობა არსებობს: შტუტგარტში შოტლანდიელებმა რამდენიმე სახიფათო კონტრიერიში განახორციელეს.

„სელტიკმა" 2:0 მოუგო ფინურ ჰიკ-ს. ორივე გოლი შვედმა თავდამსხმელმა ჰენრიკ ლარსონმა გაიტანა. თითქოს რა უნდა ჰქონდეთ სასაყვედურო გლაზგოელ ქომაგებს, მაგრამ ისინი მაინც უკმაყოფილონი დარჩნენ. ასე ცუდად „სელტიკს" მარტინ ონილის მოსვლის შემდეგ ჯერ არ უთამაშიაო, ამბობენ გულშემატკივრები. ასეა თუ ისე, „სელტიკმა" გაიმარჯვა და მეორე ეტაპზე რომ ვერ გავიდეს, დიდი მოულოდნელობა იქნება. გამარჯვებულებს კი, მოგეხსენებათ, არ ასამართლებენ. მით უმეტეს, მარტინ ონილს გასამართლებელი საბუთიც აქვს, ჰიკ-ი სუსტი გუნდია და მის წინააღმდეგ რაიმე განსაკუთრებული მოტივაცია არ გვქონია, მთელი მონდომებით რომ გვეთამაშო.

ლესტერში კი საფეხბურთოს გარდა პოლიტიკური დაპირისპირებაც შედგა. მოგეხსენებათ, ინგლისელებმა ბელგრადში საპასუხო სტუმრობაზე უარი განაცხადეს, აქაოდა, უსაფრთხოების გარანტიები არ გვაქვსო, რითაც სერბები განარისხეს. უეფამ „ლესტერის" მხარე დაიჭირა და საპასუხო მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გამართვა ბრძანა. „ცრვენა ზვეზდამ" ერთხანს სულაც ტურნირის მიტოვება განიზრახა, მაგრამ... მატჩის შემდეგ ბელგრადელთა მწვრთნელ სლობოდან მუსლინს ჰკითხეს, როგორ ფიქრობთ, სად ჩატარდება განმეორებითი შეხვედრაო. მან უპასუხა: „ყაბულს ვართ, ისიც ინგლისში ვითამაშოთ". ამ სიტყვებიდანაც ნათელია, რომ „ცრვენა ზვეზდა" „ლესტერს" სჯობს. ყოველ შემთხვევაში, გუშინწინ ასე იყო.

ბელგრადელი მილენკო აჩიმოვიჩი ყველაზე სწრაფი გოლის ავტორი გახდა. მატჩის დაწყებიდან გოლამდე მხოლოდ 47 წამი იყო გასული. მანძილიც სოლიდური გახლდათ — აჩიმოვიჩმა 30 მეტრიდან გაისროლა.

ამგვარი დასაწყისის შემდეგ სტუმრებმა თამაში კონტრშეტევებზე ააგეს და არაერთი სახიფათო მომენტიც შექმნეს. „ლესტერმა" ანგარიში ტაიმის მიწურულსღა გაათანაბრა, რაც ჩრდილოირლანდიელი გერი ტაგარტის დამსახურებაა. აღსანიშნავია, რომ ეს მცველი მიმდინარე სეზონში ლესტერელთა საუკეთესო ბომბარდირიცაა.

ამ შეხვედრაში თავი „გამოიჩინა" ჭირვეული ხასიათით ცნობილმა სტენ კოლიმორმა, რომელმაც მუშტი-კრივი გამართა და გაფრთხილებაც მიიღო.

ჯანლუკა ვიალის გაშვების მერე „ჩელსიმ" პირველი მატჩი ჩაატარა. ახალმა სიომ რომ დაბერა, ამით ლონდონელთა თამაშის ხარისხი ბევრად არ გაუმჯობესებულა, ზოგ ეპიზოდში შვეიცარიელები უკეთ გამოიყურებოდნენ. „ჩელსის" დაცვას განსაკუთრებულ თავსატეხს უჩენდა ამოა, რომელიც „სენტ გალენის" სული და გული იყო. „ჩელსის" კი შეტევაში ჰყავდა ტორე ანდრე ფლო, ჯანფრანკო ძოლა და ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი, თუმცა არც ერთ მათგანს არ ეწერა გოლის გატანა — მასპინძლებს გამარჯვება კრისტიან პანუჩიმ მოუტანა დენის უაიზის პასით.

წინ საპასუხო მატჩია და უმნიშვნელო უპირატესობის მიუხედავად, ფავორიტად მაინც „ჩელსი" ითვლება, თუმცა „სენტ გალენის" მწვრთნელის მარსელ კოლერის აზრით, არც მთლად ასეა საქმე: „შედეგით კმაყოფილი ვარ, შანსები კი თანაბარია".

ოთხმოცდაცხრამეტი ერთის წინააღმდეგ — ასე აფასებენ ლივერპულელი ქომაგები თავიანთი გუნდის შანსს შემდეგ ეტაპზე გასასვლელად.

ჩინებულად ითამაშეს კარაგერმა, დიტმარ ჰამანმა, რა თქმა უნდა, ნიკ ბარმ-

### ალანია 0:3 ამიცა
0:1 კრიცალოვიჩი (45), 0:2 კროლი (49), 0:3 ზიეჩუკი (89)
ალანია: მანდრიკინი, ალჩაგიროვი, ავერიანოვი, ბითაროვი, თედეევი, ბორისენკო, პაულუ ემილიუ (აშვეთია 76), მირეა, სტრატულატი (გუდიევი 46), ბოციევი (ბაზაევი 62), წერეთელი
მწვრთნელი: ალექსანდრ ავერიანოვი
16 200 მაყურებელი

### ანთალიასპორი 2:0 ვერდერი
1:0 გაუდინო (43), 2:0 ბირლიკი (68)
ვერდერი: როსტი, ერნსტი, ვიკი (ტრარესი 70), ბაუმანი, ბოგდანოვიჩი (აილტონი 60), პიზარო, ბოდე, შერცოგი, სკრიპნიკი, კრსტაიჩი, ფრინგსი (ტიკუზუ 46)
მწვრთნელი: თომას შაფი
3 300 მაყურებელი

### პოლონია 0:1 უდინეზე
0:1 ვარლეი (55)
უდინეზე: ტურჩი, ჟენო, ბერტოტო, სოტილი, ვალემი (ლ. ელგერა 79), სოსა, ფიორე, ჯანიკედა, ალბერტო (იორგენსენი 71), დიასი, ვარლეი (ქაპოზიტო 89)
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
2 000 მაყურებელი

### რუხი 0:3 ინტერი
0:1 ზეედორფი (62), 0:2 რეკობა (65), 0:3 კინი (72)
რუხი: ვიერცხოვსკი, სუფლიტა (კვიჩინსკი 75), გასიორი, ვლქიალოვსკი, გორსკი, სურმა, ჯიძია (მიზია 62), იარმოცი, პალუხი, სრუტვა, ბიცასკი
ინტერი: ფრეი, კორდობა, მაჩელარი, ბლანი, კინი, იუგოვიჩი (რეკობა 55), ზეედორფი (დი ბიაჯო 73), სიმიჩი (სერენა 11), ვამპეტა, ფარინოსი, ჰაქან შუქური
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
13 000 მაყურებელი

### ლიერსი 0:0 ბორდო
ლიერსი: ვან დერ სტრატერი, ვან მეირი, დაემსი, ლეენი, სნოექსი, სომერსი (სპიტერი 61), კავენსი, ვერტენნიკოვი (ჰოფკენსი 46), შ080-ლაძე (ჰიუსგემსი 81), კლაესი, სმეეტსი
მწვრთნელი: ვალტერ მეუსი
გაძევება: ბონისელი (75, ბორდო)
4 151 მაყურებელი

### შტუტგარტი 1:0 ჰართსი
1:0 ბალაკოვი (35)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, მაისნერი, ტიამი, ბალაკოვი, კარნელი, ზაიცი (პინტო 62), სოლდო, ენდრესი (შნაიდერი 38), ლისტეში, ჰოსნი, დანდი (განია 80)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
9 845 მაყურებელი

### სელტა 0:0 რიეკა
სელტა: კავალიერო, ველასკო, კასერესი, ჯოვანელა, როჟერიო, კარპინი, მოსტოვოი, მანოლო (პაბლო გონსალესი 55), მორა, ალონსო, კუედესი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
8 300 მაყურებელი

### დრნოვიცე 0:0 მიუნხენ 1860
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, ზელიჩი, კურცი, პიურკი (ბაიროფკა 74), მაქსი (პასლაკი 85), ჰესლერი, ჩერნი (ტაპალოვიჩი 74), მიუკლანდი, შტრანცლი, ბორიმიროვი, აგოსტინო
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
6 040 მაყურებელი

### ალავესი 0:0 გაზიანთეფსპორი
ალავესი: ერერა, კონტრა, იბონ ბეგონია, კარმონა, ტელიესი, ჟელი (მარიო ალბერტო 53), ხავი მორენო, პაბლო გომესი (ტომიჩი 77), კრუიფი (მაგნო 53), დესიო, ასტუდილიო
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
11 446 მაყურებელი



ნოვა გორიცა — რომა 1:4. კაფუმ (მარცხნივ) მასპინძელი სრებრნიკი გაასწრო

ბიმ, რომელმაც ერთადერთი გოლი გაიტანა, იქამდე კი ძელი შეაზანზარა — მოკლედ, მთლიანად „ლივერპულმა“. თუმცა მაიკლ ოუენის რამდენიმე წამიანმა გაბრწყინებამ ყველა და ყველაფერი დაჩრდილა. გახსოვთ ოუენის ჯადო — გარღვევა და გოლი წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინასთან შეხვედრაში? გუშინწინაც იგივე გააკეთა — მცველისგან პასი მიიღო და გაფრინდა. გზად ჩამოიტოვა ნახევარი „რაპიდი“ და საჯარიმოში შევარდნილმა ბოლო დარტყმის უფლება ბარმბის გადაულოცა. გოლი რომ არ გასულიყო, საცოდაობა იქნებოდა და ბარმბიმაც გაიტანა. საერთოდ კი „ლივერპულის“ უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ ჟერარ ულიემ ბოლო ათი წუთი მოედანზე რობი ფაულერიც კი გაიყვანა.

**თურქულმა** „ანთალიამ“ შავი დღე აყარა „ვერდერს“. მართალია, მხოლოდ ორი გოლი გაიტანა, მაგრამ ბრემენელთა მწვრთნელი თომას შააფიც აღიარებს, უფრო დიდი ანგარიშით წაგებას ვიმსახურებდითო.

თურქთაგან საუკეთესო იტალიური წარმოშობის გერმანელი მაურიციო გაუდინიო იყო. მან პირველი ბურთი შეაგდო და უამრავი სახიფათო მომენტი შექმნა. აღსანიშნავია, რომ გაუდინიოს რამდენიმე მატჩი ბუნდესნაკრებშიც ჩაუტარებია. მერე ნარკოტიკებს მიეძალა, ცხოვრება აერია და ჩამოწერეს. მისი ახლანდელი თამაში „ანთალიაში“ კი



ლესტერი — ცრვენა ზვეზდა 1:1. მასპინძლები ტაგარტმა გადაარჩინა

გვაფიქრებინებს, რომ ფეხბურთელს კრიზისი საბოლოოდ დაუძლევია. საინტერესოა, რომ გაუდინიო თავის დროზე ჩვენს კახი ცხადაძესთან ერთად „აინტრახტში“ თამაშობდა.

მატჩის შემდეგ თურქთა მწვრთნელმა თავის ფეხბურთელებს მადლობა უთხრა და დაამატა, იოლმა გამარჯვებამ არ უნდა მოგვადუნოს, სისულელეა იმის იმედად ყოფნა, რომ „ვერდერი“ შინაც ასე უსუსურად ითამაშებსო.

**„ვერდერის“** გაბითურება თუ მოულოდნელი იყო, „ფიორენტინასი“ — ორჯერ მეტად. უეფას თასის წინა გათამაშების ტრიუმფატორ ფატიჰ თერიმის ფლორენციული დებიუტი საოცრად უიღბლო გამოდგა, მეტიც — კატასტროფული. მისი გუნდი „ტიროლთან“ 50-ე წუთზე 0:3 აგებდა.

ფატიჰ თერიმი: „პირველ ტაიმში საზიზღრად ვითამაშეთ. შესვენების შემდეგ კიდევ არა გვიშავდა, თუმც ერთი საპასუხო გოლის მეტს ვერაფერს გამოვრჩით.“ თერიმის ავსტრიელი კოლეგა კურტ იარა კი თავისი შეგირდების ქებით ვერ ძღებოდა: „დღეს ჩვენმა ბიჭებმა შეუძლებელი შეძლეს. როგორც ფეხბურთელები, უცბად გაიზარდნენ. სიმართლე გითხრათ, ასეთ შედეგს ვერც წარმოვიდგენდი.“

ახლა „ფიორენტინას“ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად შინ სულ მცირე 2:0 სჭირდება. შეუძლებელი ამაში არაფერია. მით უფრო, რომ თერიმი გადაჭრით ამბობს: „ორი კვირის მერე „ფიორენტინა“ „ტიროლს“ მოუგებს. ამაში ეჭვი ოდნავაც არ მეპარება.“

**გაიკვირვებთ,** მაგრამ „პოლონიას“ მარცხი „უდინეზესთან“ პოლონელი მესაზღვრეების ბრალიცაა. რატომ? მასპინძელთა კარში ერთადერთი გოლი ბრაზილიელმა ვარლეიმ გაიტანა. არადა, პოლონელ მესაზღვრეებს ეს ფეხბურთელი ქვეყანაში არ უნდა შეეშვათ. საქმე ის გახლავთ, რომ მას ჯიბეში ყალბი პორტუგალიური პასპორტი აღმოაჩნდა და ამ შემთხვევაში მესაზღვრეებს აბა, ვინ გაამტყუნებდა. ვარლეი ირწმუნება, ამ საქმეში უბრალო ვარ, პასპორტი ჩემმა აგენტმა გამიკეთა და თუ ყალბი იყო, არ ვიცოდიო.

პოლონელები კარგა ხანს ფიქრობდნენ, რა ექნათ ვარლეისთვის და ბოლოს დანებდნენ — რამდენიმე დღით ქვეყანაში არალეგალური ფეხბურთელის შემოშვება, გამონაკლისის სახით, დასაშვებიაო და დაისაჯნენ კიდეც: ვარლეის გოლმა „პოლონიას“ მეორე ეტაპზე გასვლის ისედაც მცირე შანსი სულ მთლად მიზერულად აქცია.

**პორტუგალია** ნატოს წევრია, თუმცა მისი თვითმფრინავები იუგოსლავიას არ ბომბავდნენ. ამიტომ „პორტუ“ ბელგრადში უშიშრად ჩავიდა.

რამდენჯერ გვითქვამს, რომ რაც პორტუელებმა მარიო ჟარდელი მოისაკლისეს, გოლების გატანა უჭირთ, უგოლოდ კი თამაში ვის მოუგია. ბელგრადში სხვა რამეც გამოჩნდა — „პორტუს“ არათუ გატანა, შეტევაც ძალიან უჭირს, რამეთუ მათ ნახევარზე ბევრად მეტი სახიფათო მომენტი შეიქმნა, ვიდრე „პარტიზანის“ კართან.

დიდი ჯაფა დაადგა პორტუგალიელთა რუს მეკარე სერგეი ოვჩინიკოვს, თუმცა ბადიდან ბურთის გამოტანა მხოლოდ ერთხელ მოუხდა.

„საოცარი უიღბლობა გვჭირს — სევდიანად თქვა მატჩის შემდეგ პარტიზანთა მეთაურმა ლუბიშა ტუმბაკოვიჩმა — რა ხანია, ასე კარგად არ გვითამაშია და მაინც ვერ მოვიგეთ.“

„პარტიზანის“ მცველებმა ერთადერთი შეცდომა დაუშვეს, ისიც 89-ე წუთზე, რამაც მათი მთელი გარჯა წყალს გაატანა. გოლი კი პორტუელთა ახალწვეულმა რენივალდომ შეაგდო.

**გიორგი დარჯანია**



რობერტო კარლოსი: მთავარია „რეალი“

# რობერტო კარლოსმა რეალს სიყვარული აუხსნა

**მადრიდის** „რეალისა“ და ბრაზილიის ნაკრების მცველმა რობერტო კარლოსმა პარასკევს გამართულ პრესკონფერენციაზე დაადასტურა, რომ სხვადასხვა გუნდებიდან უამრავი მაცდური წინადადება მიიღო, მაგრამ მაინც სამეფო კლუბის ერთგული რჩება და წასვლას არსად აპირებს.

27 წლის ბრაზილიელს „რეალთან“ კონტრაქტი ხუთი წლის შემდეგ უმთავრდება. მასში არის პუნქტი, რომლის თანახმადაც თუ ვინმე კარლოსის ყიდვას მოისურვებს, 80 მილიონი დოლარი უნდა გადაიხადოს. თითქოს ასტრონომიული თანხაა, მაგრამ, როგორც ჩანს, სუპერკლუბები ამასაც არ ერიდებიან. ასე მაგალითად, იტალიური პრესის ინფორმაციით, მილანის „ინტერი“, რომელშიც თავის დროზე კარლოსი თამაშობდა და კიდევ რამდენიმე იტალიური კლუბი მზად არიან, ეს ფული გადაიხადონ და მსოფლიოს სატრანსფერო რეკორდი დაამყარონ. შეგახსენებთ, ახლანდელი რეკორდი მადრიდის „რეალს“ ეკუთვნის: ამ ზაფხულს სამეფო კლუბმა „ბარსელონას“ ლუიშ ფიგუში 56 მილიონი დოლარი ჩაუთვალა.

„ძალიან კარგი წინადადებები მივიღე და მართალი გითხრათ, მსიამოვნებს, ასე რომ მაფასებენ. მაგრამ ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო მაინც „რეალში“ ყოფნაა. აქ უამრავი ტიტულის მოგება შეიძლება და ცხოვრებაც ხალისიანია“ — თქვა რობერტო კარლოსმა.

ჟურნალისტებმა ბრაზილიელს შეახსენეს, რომ მისი ახლანდელი სიტუაცია ძალიან წააგავს არგენტინელი რედონდოსას, რომელიც ხშირად იმეორებდა, „რეალიდან“ არსად წავალო, მაგრამ უცებ იტალიურ „მილანში“ აღმოჩნდა.

„რეალთან“ კონტრაქტი ხუთი წლის შემდეგ მიმთავრდება და სულაც არ მსურს გაურკვეველი მომავალი მქონდეს. ჩემი ერთადერთი მიზანი „რეალში“ კარგად თამაშია“ — აი, ასე აუხსნა სიყვარული კარლოსმა სამეფო კლუბს.

**სოლომონ გულისაშვილი**

# ჰაჯი აღარ იუხეშებს

**გეორგე** ჰაჯის მსაჯები გაუთავებლად წითელ ბარათებს რომ უჩვენებენ, გასაკვირი სულაც არაა. პირიქით, რუმინელმა ვინმე თუ არ ჩაწიხლა ან არბიტრი არ გალანძღა, ეს უფრო საოცარია.

ჰაჯიმ ჯერჯერობით ბოლო წითელი ბარათი ამ კვირაში ჩემპიონთა ლიგაში „მონაკოსთან“ შეხვედრისას მიიღო. საქმე თითქოს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ უეფამ სხვაგვარად განსაჯა. ჰაჯის ძველი ცოდვებიც გაუხსენეს — უეფას თასის ფინალური მატჩისა და ევროპის ჩემპიონატის დროს ჩადენილი — და ბრძნული გადაწყვეტილება მიიღეს: რაც უფრო იშვიათად გამოჩნდება საუკუნის რუმინელი ფეხბურთელი მინდორზე, მით უფრო ნაკლებ იზარალებს მისგან ფეხბურთიო... მოკლედ, ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გაუხერხეს. ახლა თუ „გალათასარაი“ ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე ვერ გააღწევს, შეგვიძლია, წლევანდელი ლიგა ჰაჯისთვის დასრულებულად ჩავთვალოთ.

ამერიკის ნაკრებმა კი ერთბაშად ორი კაცი დაკარგა. ფიფამ 23 ივლისს კოსტა რიკა — აშშ-ს მატჩისას მომხდარი ამბები გამოიძია და მწვრთნელი ბრიუს არენა და ნახევარმცველი კლაუდიო რეინა მოკვეთა. რეინჯერსელი რეინა ნაკრებს ორი მატჩით გამოაკლდება, მწვრთნელი კი — სამით.

სასჯელის მიზეზი მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ამერიკელთა ულირსი საქციელი გახდა. ის თამაში კოსტა რიკამ 2:1 მოიგო, მეორე გოლი კი, ცოტა არ იყოს, საეჭვო ვითარებაში გაიტანა. სტუმრები, ცხადია, აღშფოთდნენ და შეეცადნენ, მსაჯისთვის სიმართლე ძალისმიერი მეთოდებით დაემტკიცებინათ.

ახლა კლაუდიო რეინა გაიძახის, ზრდილობიანი ბიჭი ვარ, არც ვიცი, ასეთი რამ როგორ დამემართაო, მაგრამ ფიფას გულს ტირილითა და თავში ხელის ცემით ვერ მოიგებ.



ჰაჯი ჩემპიონთა ლიგის პირველ ეტაპს გამოტოვებს

# ნიგერიის ნაკრებს ჩაგრავენ...

## ოლიმპიურ ჩემპიონთა მწვრთნელი დიდი ევროპული კლუბების წინააღმდეგ

**ჯო ბონფრერემ,** ნიგერიის ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელმა, ფიფას დიდმოხელენი გალანძღა. მისი თქმით, ფიფას საკმარისი ძალა არ აქვს იმისთვის, რომ კლუბებს მნიშვნელოვანი საერთაშორისო მატჩებისთვის ნაკრებში ფეხბურთელები გააშვებინოს. მერე არც ზოგიერთი ბობოლა კლუბის „შემკობა“ დავიწყებია. განსაკუთრებით „არსენალს“ მოხვდა.

მოგეხსენებათ, ნიგერიელებმა, მოქმედმა ოლიმპიურმა ჩემპიონებმა, სიდნეის ტურნირი ჰონდურასთან ფრით (3:3) დაიწყეს და ახლა თუ ტიტულის შენარჩუნება სურთ, მასპინძელ ავსტრალიელებთან მოგება მართებთ. ბონფრერემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მისი ნაკრების ოლიმპიადისთვის მზადება წამყვანმა ევროპულმა კლუბებმა შეაფერხეს, რომლებმაც 23 წელზე უფროსი მოთამაშეები ავსტრალიაში არ გაუშვეს: „ფიფა უფრო პრინციპული უნდა იყოს. თუ კლუბები წესს კვლავაც დაარღვევენ და ფეხბურთელებს არ გაუშვებენ, ნიგერიის მსგავს გუნდებს წარმატების არანაირი შანსი აღარ დარჩებათ“ — დასძინა ბონფრერემ.

არსენალელი ნვანკვო კანუ, სენჟერმენელი ჯეი-ჯეი ოკოჩა და დორტმუნდელი სანდი ოლისე მათ შორის იყვნენ, ვისი იმედიც ბონფრერეს ბოლო წუთამდე ჰქონდა, მაგრამ კლუბების ზეწოლის შედეგად ამათ ოლიმპიადაზე თამაში იუარეს. ზოგიერთი ფეხბურთელი კი ავსტრალიაში ორშაბათს ღამე ჩასულა, ანუ მატჩამდე მხოლოდ 48 საათით ადრე. ცხადია, ასეთ პირობებში გუნდის წარმატებით მომზადებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

თუმცა კანუ ნიგერიის ნაკრებში მაინც არის... ეს გახლავთ ნვანკვოს უმცროსი ძმა, 20 წლის კრისტოფერი, რომელიც „აიაქსში“ შოთა არველაძის თანაგუნდელია. კრისტოფერი მეტად გულგატეხილი ყოფილა უფროსი ძმის მხარდამხარ რომ ვერ თამაშობს: „ნვანკვოს ძალიან გაუჭირდა. მას ოლიმპიადაზე თამაში სურდა, მაგრამ... მაგრამ ეტყობა, ღმერთს ასე სურდა“ — უთხრა კრისტოფერმა ჟურნალისტებს. თავისი ნაკრების პერსპექტივაზე კი აი, რა თქვა: „ჰონდურასთან თამაში ძალიან ცუდად დავიწყეთ. 1:3 ვაგებდით, მაგრამ მერე გონს მოვეგეთ და გავათანაბრეთ. ნიგერია ოლიმპიური ჩემპიონია და მისი დამარცხება ყველას განსაკუთრებით სურს, ამიტომ ავსტრალიასთან ურთულესი მატჩი გველის“.



ხელოვნად განათებული საქართველოში მხოლოდ ქუთაისის „ტორპედოს“ სტადიონია

# გაანათდით!

**ცოტა** ხნის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ უეფას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის და თანამშრომლობის ბიუროს ხელმძღვანელ ერიხ ეპლესგან ფაქსი მიიღო.

მოგეხსენებათ, უეფას კატეგორიული მოთხოვნა იშვიათად სჩვევია. ერთს რბილად გაგაფრთხილებენ, შენიშვნას მოგცემენ. გაითვალისწინებ, ხომ კარგი, არადა...

დიდი მადლობა, თქვენს ქვეყანაში საფეხბურთო მეურნეობა-ინფრასტრუქტურის განვითარებას რომ ცდილობთ, ასე გააგრძელეთო, იწერება ეპლე, თუმცა...

სულ ბოლოს რომ საქართველოში სამუშაო ვიზიტით ვიყავით, ჩვენი თვალით ვნახეთ, ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე, სადაც საერთაშორისო მატჩებს მართავთ, განათება სულ 600 ლუქსია, უეფას სტანდარტები კი 1200-1500-ს ითხოვს, ამიტომ თბილისში თუ გინდათ მატჩების ჩატარება, ამ პრობლემის მოწესრიგებაზე დროზე იფიქრეთო.

ეპლე ჟორდანიას იმასაც ახსენებს, პირველ ეტაპზე რომ თქვენს სტადიონზე გემასპინძლათ მეტოქეებისთვის, დახმარება უკვე გაგიწიეთ, 22 ათასი ინდივიდუალური სკამის დასამონტაჟებელი ფული გამოგიყავით, ამიტომ მეტის საშუალება აღარ გვაქვს და ჩვენგან ნუღარაფერს ელითო.

იქვე ზემოაღნიშნული ბიუროს ხელმძღვანელი რჩევასაც გვაძლევს. განათების განახლება იმას მოსთხოვეთ, ვინც სტადიონის ყველაზე დიდი მეწილეაო.

ამ თხოვნის შეუსრულებლობას რაც მოჰყვება, ცხადია. ჩვენ ვიკითხოთ, თორემ „ეროვნულ“ სტადიონზე თუ თამაშს აკრძალავენ, ევროპაში ამაზე არავინ იდარდებს.

წერეთლის №1-ში მდებარე ნაგებობა რომ დღეს ბაზრობა უფროა, ვიდრე სტადიონი, დიდი ხანია ცნობილია. ამაზე „სარბიელსაც“ არაერთხელ დაუწერია, თუმც ეს ვინც უნდა გაიგონოს...

რა ხანია, ფედერაციაში თუ მერიაში „ეროვნულზე“ განათების მოწესრიგებაზე საუბრობენ, მაგრამ ჯერ საამისოდ ხელი არავის გაუნძრევია. უეფასთვის თხოვნას, განათების ფული არ გვაქვს და დაგვეხმარეთო, რა პასუხიც მოჰყვა, აგერ, ეპლეს ფაქსშიც კარგად ჩანს.

**ვანო ოქროპირიძე**

# ლიტვაში პოლონეთი, იტალიაში შვედეთი

**საქართველოსთვისაც** ახლოვდება 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი. ჩვენს ეროვნულ ნაკრებს 7 და 11 ოქტომბერს ლიტვასა და იტალიაში ორი მატჩის ჩატარება მოუწევს.

გუშინ ფიფადან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ფაქსი მოვიდა. ფეხბურთის უმაღლესი ინსტანცია იმ მსაჯ-დელეგატთა ვინაობას იტყობინება, რომლებიც ჩვენი ეროვნული გუნდის ზემოთაღნიშნულ ორ მატჩს განსჯიან.

ლიტვა — საქართველოს თამაშის მთავარ მსაჯად პოლონელი რიშარდ ვოიჩეკი დაუდგენიათ, რომელსაც თანამემამულეები — ეუგენიუს კოჩარი და კონრად საპელა დაეხმარებიან. მეოთხე მსაჯი ზბიგნევ მარჩიკი იქნება. დელეგატობასა და მსაჯთა ნაშრომის კონტროლს შვედი ბო კარლსონი იკისრებს.

იტალიაში მსაჯები შვედეთიდან გვეყოლებიან. მთავარი კარლ ერიკ ნილსენია, დამხმარეებად — ლეიფ ლინდბერგი და სტეფან ვიდბერგი. მეოთხე, სათადარიგო არბიტრად სტენ იოჰანსონი მოგვევლინება. დელეგატად შოტლანდიელი ერნესტ უოლკერია დანიშნული.

კაუნასში თამაში იქაური დროით 18 საათზე დაიწყება, მაშინ საქართველოში ზუსტად რვა საათია.

ანკონაში იტალიელები 20 საათსა და 45 წუთზე გვიწვევენ სათამაშოდ. ჩვენში იმ დროს შუაღამის დადგომას თხუთმეტი წუთი დააკლდება.

**მამუკა ქვანტალიანი**


ოუენი, შირერი, მალდინი, პეტი, ჯორკაეფი...

**შექმენით თქვენი ჩემპიონთა ლიგა!**

მსოფლიოს უპოპულარულესი თოჯინები თქვენთვის და თქვენი ბავშვებისთვის




მაღაზია „ბარბი ტეფალი“. ვაკე. ჭავჭავაძის 19


# მრეტები ბლატერს მიადგა

## გაჭიანურებულ საქმეს ისევ სასამართლო გაარჩევს

გუშინ საფეხბურთო კლუბ „მრეტების“ პარტნიორთა საბჭოს თავმჯდომარე ფრიდრიხ ბოიმელმა მისივე თანამშრომლის ხელით წერილი გამოგვიგზავნა, რა თქმა უნდა, „მრეტებ“ — „დინამოს“ ესოდენ გაჭიანურებულ საქმესთან დაკავშირებით. „დინამოს“ „მრეტებისთვის“ 320 ათასი დოლარი კვლავ არ გადაუხდია და, როგორც ჩანს, ცოტა ხანში ეს ამბავი კულმინაციას მიაღწევს. ყოველ შემთხვევაში, წერილის შინაარსი ამის თქმის საფუძველს იძლევა — „მრეტებმა“ ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერს სასამართლოში უჩივლა და „ტკბილი სიტყვები“ არც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მისამართით დაიშურა.

ერთი სიტყვით, ეს წერილი წაიკითხეთ, რომელსაც ყოველგვარი შესწორების გარეშე გთავაზობთ.

### ფკ მრეტების პარტნიორთა საბჭოს განცხადება

ქართული ფეხბურთის გულშემატკივრისთვის ცნობილია, რომ ა.წ. 24 მარტს ფიფას აღმასკომმა „ფკ მრეტები ფიფას, სფფ-ს და ფკ დინამოს წინააღმდეგ“ საქმეში საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანა.

ამ გადაწყვეტილების თანახმად, ფკ დინამო, სამოქალაქო სასამართლოსადმი მიმართვის გამო, ფიფას წესების უხეში დარღვევისთვის 20 000 აშშ დოლარით დაჯარიმდა და მასვე დაეკისრა ფკ მრეტების სასარგებლოდ საკომპენსაციო თანხის — 300 000 აშშ დოლარის გადახდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ თანხის გადახდის ვადა ა.წ. 30 აპრილს ამოიწურა, ფიფას და სფფ-ს ხელმძღვანელები, თავის გადარჩენისა და ფკ დინამოს ხელში ჩაგდების მიზნით, ფიფას ფედერალური სამართლის დარღვევით ჭიმავენ ამ თანხის გადახდის საქმეს.

ფკ მრეტების პარტნიორთა საბჭომ თხოვნით მიმართა ფკ მრეტების პრეზიდენტს, ბატონ ვაჟა ჩხაიძეს, რათა მან საქმის კურსში ჩააყენოს საზოგადოება, თუ რა საშიშროება ელოდება ქართულ ფეხბურთს სფფ-ს ხელმძღვანელობის ასეთი მოქმედების გამო. მით უმეტეს, რომ დასრულებულია და ფკ მრეტების პარტნიორთა საბჭოში დევს სასამართლო სარჩელი „ფკ მრეტები ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ზ. ბლატერის წინააღმდეგ“.

ფკ მრეტების პარტნიორთა საბჭო საჯაროდ აცხადებს: ფიფა, სფფ, ფკ დინამო და მათი ხელმძღვანელი პირები სულ მალე პასუხს აგებენ თავიანთ მოქმედებებზე საერთაშორისო საზოგადოებისა და სამართლის წინაშე.

*ფკ მრეტების პარტნიორთა საბჭო*
*ფრიდრიხ ბოიმელ*
*თავმჯდომარე*

გუშინვე ჩვენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას დავუკავშირდით, მაგრამ მათ კომენტარისგან დროებით თავი შეიკავეს.

— წერილი ჩვენ არ მოგვსვლია და მისი შინაარსი არ ვიცით. ვნახავთ, წავიკითხავთ „სარბიელში“ დაბეჭდილს და ორშაბათს ჩვენსას ვიტყვითო — ასე გვიპასუხეს.

**ლუკა თალაკვაძე**

საქართველოს პირველი ლიგა — ჩემპიონატი — პირველი წრე

## 4 ტური

15 სექტემბერი, პარასკევი

**თორი 2:0 მილანი**

16 სექტემბერი, შაბათი

**ივერია - ცხინვალი**
**გურია - ხობი**
**მეტალურგი - ოკეანე**
**თბილისი - ზუგდიდი**
**სამგურალი - შუქურა**

პირველი ლიგის მიმოხილვა იხილეთ ოთხშაბათის „სარბიელში“

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| შუქურა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:1 | 6 |
| თორი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| მეტალურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| გურია | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| ზუგდიდი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ხობი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| მილანი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| თბილისი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:5 | 3 |
| სამგურალი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ოკეანე | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 3 |
| ივერია | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |



## საქართველოს თასი

### მეორე შესარჩევი ეტაპი

15 სექტემბერი, პარასკევი

| | | |
|---|---|---|
| ***ჭაბუკიანი (ჭაბუკიანი)*** | 3:0 | სამგორი (გარდაბანი) არ გამოცხადდა |
| კავკასიონი (თბილისი) | 1:3 | ***ს.ა.იბერია (თბილისი)*** |
| შევარდენი (თბილისი) | 1:3 | ***დინამო 2 (თბილისი)*** |
| ***ლოკომოტივი 3 (თბილისი)*** | 3:1 | ვარძია (ასპინძა) |
| ამირანი (ოჩამჩირე) | 0:1 | ***თბილისი 2 (თბილისი)*** |
| ***ინტერი (ქუთაისი)*** | 2:1 | გურია (ლანჩხუთი) |
| ***კოლხეთი 2 (ფოთი)*** | 3:1 | ბათუმი 2 |
| ***ლაზიკა (ზუგდიდი)*** | 2:0 | სქური (წალენჯიხა) |

27 სექტემბერს თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალი დაიწყება. რეგიონული ლიგის გამოყოფილ გუნდებს უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბები დაემატებიან, საპასუხო მატჩები კი 17 ოქტომბერს გაიმართება.



ვიტელი გიორგი ყიფიანი (ზურგით) და ტორპედოელი კახა კვეტენაძე

# ორიდან ერთი ბულგარეთში

**თითქმის** ორ კვირაზე მეტია, „ვიტ ჯორჯიას“ ორი ნახევარმცველი — გამთამაშებელი გიორგი ყიფიანი და საყრდენი ზვიად გვაზავა — კლუბს იყო განშორებული. ვეტერინარები ბულგარეთში იმყოფებოდნენ გასინჯვაზე.

ჩვენებურებით დაინტერესება ადგილობრივმა უმაღლესლიგელმა, ბურგასის „ნეფტოხიმიკმა“ გამოიჩინა. ვიტელები იქაურთა მეთვალყურეობით ვარჯიშობდნენ და რამდენიმე საწვრთნელ მატჩშიც მიიღეს მონაწილეობა.

ბურგასელებს ჩვენებურები მოსწონთო, ასე ვიცოდით და მოულოდნელიც იყო ჩვენთვის მათი თბილისში გამოჩენა. საქმეში უკეთ გასარკვევად „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტ გურამ რუხაძეს შევეხმიანეთ.

— „ნეფტოხიმიკმა“ ორივე, ყიფიანიც და გვაზავაც მოიწონა, მაგრამ ახალ გუნდში ერთ-ერთი მათგანი გადავა. კლუბებს შორის ჯერჯერობით მოლაპარაკება მიმდინარეობს, რაც მალე დამთავრდება. ბულგარელებს ორივე კი სურთ, მაგრამ ორივეს „ვიტ ჯორჯია“ ვერ შეელევა — გვითხრა რუხაძემ.

ვინ წავა უცხოეთში, ყიფიანი თუ გვაზავა? იმედია, ამას უახლოეს დღეებში შევიტყობთ.

**დათო დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS სიდნეიდან



REUTERS სიდნეიდან

# ოლიმპიადა დაიწყო!

გუშინ სიდნეიში გაიხსნა XXVII ოლიმპიური თამაშები. სანახაობა მართლაც შთამბეჭდავი და ღირსსახსოვარი იყო, განსაკუთრებით მისი ბოლო და უმთავრესი ნაწილი, ოლიმპიური ცეცხლის ანთების ცერემონიალი. ეს მისია ავსტრალიელებმა აბორიგენული წარმოშობის სპრინტერ ქალს, ქვეყნის ნაკრების წევრ კეტი ფრიმენს დააკისრეს. დღეს სხვებთან ერთად ოლიმპიურ ტურნირებში ჩაებმებიან ქართველი სპორტსმენები: ძიუდოისტი ნესტორ ხერგიანი (60კგ), მოკრივე თემურ ხურცილავა (54კგ), ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძე და მშვილდოსან ქალთა სამეული — ხათუნა ლორიგი, ხათუნა ფუტკარაძე, ასმათ დიასამიძე. დღეს ოლიმპიადაზე მედლების 13 კომპლექტი გათამაშდება.



REUTERS სიდნეიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



# G'DAY, გამარჯობა,

ავსტრალია ყოველწლიურად ხუთი სანტიმეტრით მოიწევს ჩრდილოეთისკენ, მაგრამ ჯერ შორსაა და ამიტომ ყოველგვარი ეჭვის გარეშე შეგვიძლია ვთქვათ — გუშინ პლანეტის მეორე ბოლოში ოლიმპიური თამაშები გაიხსნა. მიუხედავად იმისა, რომ იქ გაზაფხულია, ჩვენთან კი შემოდგომა, სიდნეი 17 დღის განმავლობაში ზაფხულის 27-ე ოლიმპიადას უმასპინძლებს.

ოთხ საათზე მეტხანს გაგრძელდა გახსნის ცერემონიალი. ოთხი საათი ერთ ადგილას ჯდომისა და რაიმეს ცქერისთვის შემაწუხებელი დროა, მაგრამ იქ, სადაც დედამიწის სფეროზე ადამიანები თავდაყირა დადიან, საოცარი შოუ მოსვლიათ თავში. ის იმდენად ლამაზი გახლდათ, რომ ხსენებული ოთხი საათის განმავლობაში სულ სამჯერ თუ შეგახსენებდათ თავს წამოდგომის და ერთი წუთით გასვლის სურვილი.

გახსნის ცერემონიალს თავისი დიდი საიდუმლოც ჰქონდა: ბოლო წამამდე არავინ უწყოდა, ვის აანთებინებდნენ ოლიმპიურ ცეცხლს. წესით ეს დიდად პატივცემული პიროვნება უნდა ყოფილიყო. ოთხი წლის წინ, გეხსომებათ, ცეცხლის ანთების პატივი მუჰამედ ალის ხვდა წილად, მაგრამ ახლა? იყო ვარაუდები, მეტწილად გამოჩენილ ავსტრალიელ ათლეტებს ასახელებდნენ, შიგადაშიგ კი ხუმრობდნენ, ალბათ, კენგურუ იქნებაო, მაგრამ არავინ გაყოლია დედუქციური აზროვნების ხაზს. კერძოდ, ცნობილი ავსტრალიელი სპორტსმენი რომ უნდა ყოფილიყო, ცხადია, მაგრამ ავსტრალია ხომ აბორიგენთა ქვეყანაა, რომელიც 1788 წელს პირველმა ევროპელებმა დაიპყრეს. შესაბამისად, დღევანდელი დემოკრატიული და შემრიგებლური პრინციპების გათვალისწინებით საუკეთესო კანდიდატი აბორიგენული წარმოშობის ცნობილი ავსტრალიელი უნდა ყოფილიყო. შემდეგ უნდა გაგხსენებოდათ ისიც, რომ სიდნეის ოლიმპიადა საიუბილეოა — ზუსტად ასი წლის წინ თამაშებში მონაწილეობის ნება დართეს ქალებს — და ამის მერე მასპინძელ ათლეტთა სია წაგვეკითხა.


REUTERS სიდნეიდან

ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალი ავსტრალიელი ცხენოსნების მისალმებით დაიწყო

კეტი ფრიმენი, მსოფლიოს ჩემპიონი 400 მეტრზე სირბილში, ატლანტის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი და სიდნეი 2000-ის ოქროს მედლის კანდიდატი, ქალი, რომელიც ექვსი წლის წინ კეთილი ნების თამაშებზე გაკიცხეს, რადგან სარბიელზე აბორიგენული დროშა ააფრიალა, სრულიად ფანტასტიკური ამბის მთავარი გმირი გახდა. მან ოლიმპიური ჩირაღდანი აღმართა, თეთრ კიბეებზე აირბინა, „ჩანჩქერსქვეშა ტბაში" შეაბიჯა და წყალი ააგიზგიზა. ამის შემდეგ ცეცხლოვანი რკალი ცად აიწია, ქალი „ტბაში" დატოვა და თავად სტადიონის კენწეროსკენ გაემართა, სადაც ქვემოდან კვარცხლბეკი ამოეზარდა.

ხოლო ამ ზმანებას წინ ამაღელვებელი სურათი უძღოდა: სტადიონზე მისული ჩირაღდანი ფრიმენამდე ავსტრალიური სპორტის ლეგენდარულმა ქალებმა მიიტანეს. ინვალიდის სავარძელს მიჯაჭვულმა 62 წლის ოთხგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ბეტი კათბერტმა დონ ფრეზერის, შეინ გოულდის და რაელინ ბოლის დახმარებით ცეცხლი დები ფლინტოფ-კინგს გადასცა, ხოლო მან მთავარ გმირს გადააბარა.

გახსნის ცერემონიალის კიდევ ერთი ავსტრალიელი მონაწილე გახლდათ ბალახის ჰოკეის ქალთა ნაკრების კაპიტანი რიჩელ ჰოუკსი, რომელმაც ოლიმპიური ფიცი დადო. ფიცმაც ახლებურად გაიჟღერა: ვფიცავ ვიასპარეზო დოპინგისა და ნარკოტიკების გარეშე.

ფიცი ნებისმიერი ოლიმპიადის გახსნაზე პროგრამის სავალდებულო ნაწილია, ისევე, როგორც თამაშების გახსნა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის სიტყვა.

**G'Day**, სიდნეი, **G'Day**, ავსტრალია — მიმართა მასპინძლებს პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა. ეს **G'Day** ავსტრალიური ინგლისურით ჰელოუ ანუ გამარჯობა ყოფილა, ხოლო სერ უილიამ დინი ქვეყნის გენერალ-გუბერნატორი ბრძანდება, რომელიც მიკროფონთან სამარანჩის შემდეგ მივიდა და ოლიმპიადა გახსნილად გამოაცხადა.

გუშინდელი დღის კიდევ ერთი დიდი მომენტი სპორტსმენთა აღლუმზე ორი კორეის ერთიანი გუნდით გასვლა გახლდათ. ამჯერად მათი საერთო დროშა ოლიმპიური იყო, მაგრამ უკვე ცხადია, დადგება დღე, როდესაც 1950-53 წლებში საბჭოეთის ბოროტი ზრახვით გაყოფილი ქვეყანა საერთო სახელმწიფო ალმითაც იასპარეზებს. ხოლო ტიმორი, პორტუგალიის ყოფილი კოლონია, რომელიც 1975 წელს ინდონეზიამ დაიპყრო და ააოხრა, გასული წლის აგვისტოში კი კვლავ დამოუკიდებელი გახდა, სიდნეი 2000-ზე ოთხკაციანი გუნდით წარდგა — ოლიმპიური მშვიდობის სული მართლაც არსებობს.

ისევე როგორც არსებობს კომერცია: ავსტრალიამ ოლიმპიადის მომზადებაზე 1,4 მილიარდი ამერიკული დოლარი დახარჯა, სარფს კი 3,4 მილიარდის ფარგლებში ელის.

მაგრამ, ნუთუ ყველა იგებს, არავინ დაზარალებულა? — იკითხავს ვინმე. ძნელია პასუხის ზუსტად გაცემა, თუმცა, ამბობენ, ამერიკელი მაგნატი ბილ გეიტსი წუთში 6 მილიონამდე დოლარს შოულობსო, ის კი სიდნეის სტადიონზე ოთხი საათი უქმად იჯდა...

რაც შეეხება აშშ-ის პრეზიდენტის ქალიშვილს, ჩელსის, მას, ალბათ, კიდევ ოთხი საათიც შეეძლო სუფთა ჰაერზე გაეტარებინა.

ერთი სიტყვით, ავსტრალია წელიწადში ხუთი სანტიმეტრით მოიწევს ჩრდილოეთისკენ და თუ ვინმეს აინტერესებს, 17 ოლიმპიური დღის განმავლობაში რამდენით მოგვიახლოვდება, შეუძლია გამოითვალოს.

**ბაჩუნა ძიძია**



REUTERS სიდნეიდან

ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა აღლუმი, ტრადიციულად, საბერძნეთის დელეგაციამ გახსნა


REUTERS სიდნეიდან

ის, რაც ვერ მოახერხა პოლიტიკამ, მოახერხა ოლიმპიადამ: ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა ერთიანი დროშით!

Sydney 2000

# SYDNEY!
# სიდნეი!



13 წლის ნიკი ვებსტერი ოლიმპიადის გახსნის თეატრალიზებული ნაწილის მთავარი მოქმედი პირი იყო

REUTERS სიდნეიდან



ოლიმპიადის გახსნის სავალდებულო რიტუალი: ოლიმპიური დროშის აღმართვა



სტადიონზე ოლიმპიურმა ჩირაღდანმა ავსტრალიური სპორტის სიამაყის, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის შეინ გოულდის ხელში გაიარა

REUTERS სიდნეიდან



კეტი ფრიმენის სასწაული: წყალზე დანთებული ოლიმპიური ცეცხლი



ოლიმპიური ცეცხლი 17 დღე იგიზგიზებს სიდნეის სტადიონზე

დოპინგი

# რუმინეთს კაცი გამოაკლდა

**სიდნეის** ოლიმპიადა საზეიმოდ გაიხსნა. მხოლოდ კეთილგანწყობა და სიხარული იფრქვეოდა გუშინ ქალაქის 110-ათასიან ოლიმპიურ სტადიონზე, ხოლო ოლიმპიადის კულისებს ამ დროსაც კი არ შეუწყვეტიათ გამალებული მუშაობა, მთელი გარეგნული ბრწყინვალება ხომ ათასობით ადამიანის თავდადებულ შრომაზეა დაფუძნებული. დოპინგთან ბრძოლის სამსახურმა რუმინელი ძალოსანი ტრაიან კიპარეანი ამხილა. მისმა დოპინგ-ტესტმა დადებითი შედეგი უჩვენა. „დიდი წუხილით ჩამოვაშორეთ იგი ოლიმპიადას" — განაცხადა რუმინეთის ოლიმპიური კომიტეტის (როკ) პრეს-ატაშემ ალექს ეპურეანმა. კიპარეანმა 52 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ბარსელონას ოლიმპიადის ბრინჯაო მოიპოვა, სიდნეიში უფრო მაღალ კატეგორიაში (56 კილოგრამამდე) გამოსვლა სურდა, მაგრამ ასეთი მარცხი შეემთხვა და იტყობინებიან, რომ მალე ოლიმპიურ სოფელს დატოვებს. რუმინელი მეორე ძალოსანია, რომელიც დოპინგის მუხლით დასაჯეს. პირველი ტაივანელი ჩენ პოპუ იყო.

სხვა ამბავი — უკრაინელი ბირთვის მკვრელის, ალექსანდრ ბაგაჩის საქმეც ისე მიდის, ოლიმპიადას იგიც ვერ უნდა ელირსოს. არადა, ჭკუაც რომ ვერ ისწავლა: 33 წლის ასაკამდე ამ მიზეზით ბარე ორჯერ მოკვეთეს, თავიდან 89-ში ტესტოსტერონისთვის (მსოფლიოო თასის შეჯიბრზე უპოვეს), რვა წლის შემდეგ — ათენის მსოფლიოს პირველობაზე სტიმულატორ ეფედრინისთვის და წლეულს ანაბოლიკური სტეროიდების გამო უპირებენ გასამართლებას. უკრაინის ფედერაციამ ბაგაჩი გაამართლა, მაგრამ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (იააფ) სხვა რიგი შემთხვევების დარად საბოლოო განაჩენის გამოტანა თავად მოინდომა და სამშაბათს ამ სპორტსმენის სპორტულ მომავალს საარბიტრაჟო სასამართლო გადაწყვეტს. სავსებით შესაძლებელია, უკრაინელი ოლიმპიადიდან მოკვეთონ, ბაგაჩმა მართლაც ძალიან გაიტეხა სახელი.

**დავით გულუა**

კრივი

# ოლიმპიადას პროფესიონალებიც უყურებენ

**არც** ისეა საქმე, რომ პროფესიული კრივის წარმომადგენლებს სამოყვარულო კრივი არ აინტერესებდეთ. სად, თუ არა მოყვარულთა ჩხუბებში, შეიძლება იმ ახალი სისხლის პოვნა, რომელიც შემდეგ მსოფლიოს კრივის ფედერაციის, ასოციაციისა და საბჭოს რიგებს უნდა გადაესხას? ამიტომ დიდებულ მოკრივეთა მოზრდილი წილი „პროფებში" სწორედ კონტინენტებისა და მსოფლიოს ჩემპიონატების, აგრეთვე ოლიმპიადების შედეგთა მიხედვით მოხვედრილა. არის გამონაკლისიც: მაიკ ტაისონმა 1984 წელს ბრაზის ცრემლები ღვარა, როცა ამერიკულ ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირზე ჰენრი ტილმანი მოერია და ნაკრებში ვერ მოხვდა. ტილმანი მერე ლოს ანჯელესის ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა, ტაისონი კი მომავალ წელს უკვე პროფესიონალი იყო ყოველგვარი დიდი სამოყვარულო ჯილდოების გარეშე.



პროფესიონალებში გადასვლამდე კასიუს კლეიმ, შემდგომ მუჰამედ ალიმ, რომის 1960 წლის ოლიმპიადა მოიგო

მაგრამ ვიმეორებთ, ეს გამონაკლისია. მუჰამედ ალი, ვისაც 1960 წელს ჯერ კიდევ კასიუს კლეი ერქვა, ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ფლოიდ პატერსონი გავიხსენოთ, რომელმაც ჩემპიონობა კლეიზე რვა წლით ადრე მოიპოვა, ანაც ძმები სფინქსები 76-ში და იმავე წელს რეი შუგარ ლეონარდი; ევანდერ ჰოლიფილდმა ლოს ანჯელესში ბრინჯაო დაითრია და ასე შემდეგ. სულ ახლახან მოყვარული იყო უკრაინელი ვლადიმირ კლიჩკო, ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონი და უკვე პროფესიული კრივის მწვერვალებს ებღაუჭება. უნგრელი იშტვან კოვაჩი და ამერიკელი დევიდ რიდი იმ ოლიმპიადის შემდეგ ასევე პროფესიონალებში გადავიდნენ და სიდნეიში თავიანთ ტიტულებს არ დაიცავენ.

ასე რომ, სიდნეის ოლიმპიადა პროფესიული კრივის მესვეურთა საკმაოდ ფართო ყურადღების საგანია. ისინი ათვალიერებენ ყველა გამოსადეგ მოკრივეს, კუბელთა გარდა, რომელთა საკრივო ტალანტი მხოლოდ სამოყვარულო კრივში იხარჯება (ამადაც ითვლებიან ამ დარგის მეფეებად). სიდნეი სავსეა მენეჯერებით, მწვრთნელებითა და პრომოუტერებით, ამიტომ ოლიმპიადის ბოლოს ზოგი რჩეული მოყვარულის გაპროფესიონალების ამბავი უეჭველად მოგვივა.

**დავით გულუა**

# სიდნეიდან მატყუარებს აძევებენ

**ოლიმპიადას** ჩრდილოვანი მხარეებიც სდევს თან და ამაზე ვწერდით — სატრანსპორტოო საცობებიო, ოსამა ბენ ლადენის ტერორისტებიო და მისთანები... და აი, კიდევ ერთი ახალი ამბავი — თურმე ასობით ემიგრანტი ცდილობს, ოლიმპიადის ბილეთების შემწეობით როგორმე მწვანე კონტინენტზე შეაღწიოს და მერე იქიდან ფეხი აღარ დაძრას. ამას მაქინაციებიც მოჰყოლია. მაგალითად, ვიღაც სირიელმა 60 თვისტომი გააბრიყვა, ოლიმპიურ ბილეთებსა და ავსტრალიის ვიზებს, შემდეგ კი პასპორტებსაც შეჰპირდა და ამგვარად 200 ათასი დოლარი წალლიტა. როცა თალლითი დააკავეს, მას მხოლოდ ის 200 ათასი აღმოაჩნდა, არავითარი ბილეთები, ვიზები და პასპორტები...

დასავლეთ ევროპის ორ ქვეყანაში კი სხვა რამ მოხდა. თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ იმ ქვეყნების დასახელება ავსტრალიის საემიგრაციო სამსახურმა კეთილშობილურ მოსაზრებათა გამო არ ინება. ჰოდა, ინკოგნიტო ქვეყნების შვილებს თავიანთი მიზნებისთვის ოლიპიურ დელეგაციაში, ცხადია, არცთუ ვიღაცის ხელშეწყობის გარეშე მოხვედრა განუზრახავთ. ერთი ქვეყნის რვა მოქალაქე მხილების შემდეგ ამტკიცებს, ოლიმპიადის თანმხლებ ხელოვნების ფესტივალში უნდა ჩავრთულიყავითო, მაგრამ ტყუილია — ოლიმპიადის მასპინძლებმა ყველა ღონისძიების ყველა წვრილმანი სხვაზე კარგად უწყიან. უილბლოებს სამშობლოში დააბრუნებენ, ხოლო ავსტრალიის ემიგრაციის სამსახური გაფრთხილებთ: ოლიმპიური ბილეთი ავსტრალიაში ცხოვრების ნებართვა არ არის!

**დავით გულუა**

## სიდნეის ნაირ-ნაირი

**63 წლის** ასაკში ადამიანთა უმეტესობა პროთეზებზე, პარიკებზე, გულისა და სახსრების ტკივილზე წუწუნებს და ყველა ამქვეყნიურ სიამოვნებას ეთხოვება, ბრიუს მერედითი კი სწორედ ახლა იწყებს ცხოვრებას — ტყვიის მსროლელი ვირჯინიის კუნძულებიდან სიდნეის ოლიმპიადის უხუცესი სპორტსმენია.

„ასაკთან ერთად მხედველობაც ყველას აკლდება და გამონაკლისი არც მე ვარ" — განუცხადა გაზეთ „სიდნეი მორნინგ ჰერალდს" მერედითმა, რომელსაც ორი დიდი ამბიცია ამოძრავებს: ოლიმპიური მედლის მოპოვება და 100 წლამდე ცხოვრება.

„მე კარგი გენები მაქვს და თანაც თავს ყოველთვის ვუფრთხილდები. სიცოცხლეში არ მომიწევია, ყავა არ დამილევია და კვირაში ერთ-ორ ჭიქა ღვინოს თუ ვსვამდი. სამაგიეროდ, ძალიან დიდ დროს ვუთმობდი მებაღეობას."

Sydney 2000

**სადაც** ოლიმპიადის უხუცესი მონაწილე ვახსენეთ, იქვე უმრწემესსაც დავუთმოთ მცირეოდენი დრო. 13 წლის ფატიმა ფარია, რომლის წონა 40 კილოგრამს არ აღემატება, სიცოცხლეში პირველადაა ოჯახს მოშორებული კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში. მალდოველი გოგონა თავისუფალი სტილით 50 მეტრ დისტანციაზე ცურვაში ასპარეზობს.

„აქაურობა ისეთი მასშტაბური და მწვანეა, ასე მგონია, სიზმარში ვარ. ვიცი, ვერ მოვიგებ, მაგრამ იმედი მაქვს, არც ქვეყანას შევარცხვენ" — ამბობს ყველაზე პატარა ოლიმპიელი.

მშობლიურ ქალაქ მალეში ფატიმა ნავსადგურში ვარჯიშობს და ფინანსური გაჭირვების გამო ავსტრალიაში საკუთარი მწვრთნელიც კი ვერ ჩამოჰყვა. მოლდოველ მოცურავეს სიდნეიში მწვანეკონტინენტელთა მოძღვარი როჰან ტეილორი უწევს დახმარებას.

„დედას ტელეფონით უკვე ველაპარაკე. მითხრა, ბევრი ჭამე, კარგად მოიქეცი, ავსტრალიელები არ გააბრაზო და წესიერად ივარჯიშეო" — ფატიმას დედიკო ამ სიტყვებს, ალბათ, ერთ-ორ კურცხალსაც დაუმატებდა.

Sydney 2000

**სასიამოვნოა** იმის ცოდნა, რომ მსოფლიოში კიდევაა ქვეყნები, სადაც ჩვენზე უარესად ცხოვრობენ. მაგალითად, შეიძლება იგივე რუანდა ავიღოთ, სადაც ბიუჯეტის შევსებაზე რომ არაფერი ვთქვათ, წესიერი აუზებიც კი არ მოეძებნებათ.

ამ სამოქალაქო ომით დატანჯული ქვეყნის მოცურავეები თურმე აღფრთოვანებულნი დარჩენილან „სიდნეის საწყლოსნო ცენტრის" სუფთა წყლით, ფართო ბილიკებით და ტემპერატურით.

„ეს უბრალოდ სრულყოფილებაა, ნამდვილი სამოთხე" — დაახლოებით ასეთ რამ აღმოხდა რუანდელთა მთავარ მწვრთნელ ჟან ბაპტისტ დარბუკას ცენტრში მოხვედრისას. ვერც გაუმტყუნებ: მთელ ქვეყანაში ერთი 50-მეტრიანი აუზიც კი არ ჰქონიათ და მოცურავეები თურმე სასტუმროს ნომრებს ქირაობენ, რათა მათ აუზებში ივარჯიშონ.

100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში პამელა გირიმბაბაზი და 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში სამსონ ნდაიშიმე პირველ ადამიანი-ამფიბიები იქნებიან თავიანთი ქვეყნიდან, რომლებიც ოლიმპიადაზე იასპარეზებენ. სიდნეიში ისინი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიწვევით მოხვდნენ და ქვეყნის გარეთაც პირველად გადიან.

Sydney 2000

**ოლიმპიადის** სანახავად ამ დღეებში ავსტრალიას პლანეტის სხვადასხვა კუთხის „ძლიერნი ამა ქვეყნისანი" მიაწყდნენ.

მარტო გვირგვინოსანთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა: მალაიზიის მეფე-დედოფალი, ესპანეთის დედოფალი სოფია, ბელგიის პრინცი ფილიპი და პრინცესა მატილდა, მათი ჰოლანდიელი კოლეგა უილიამ ალექსანდერი. ინგლისის პრინცესა ანა, რომელიც ამავდროულად სოკ-ის წევრიცაა, სიდნეის ერთ-ერთ მდიდრულ რესტორანში საბერძნეთის ექსხელმწიფე კონსტანტინესთან ერთად დააფიქსირეს. ასევე ელიან სამეფო ოჯახს შვედეთიდანაც.

ხუთშაბათს ჩამოფრინდა ოლიმპიურ ქალაქში აშშ-ის პრეზიდენტის ქალიშვილი ჩელსი კლინტონი, მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი, მილიარდელი ბილ გეიტსი კი მალაიზიას სტუმრობდა, საიდანაც სიდნეიში ჩავიდა.

სამაგიეროდ, უჩვეულოდ პასიურობენ ჰოლივუდელი ვარსკვლავები. ჭორები ჯეკ ნიკოლსონისა და მადონას სტუმრობის შესახებ ჭორებადვე დარჩა. ოზებს მხოლოდ „შეუსრულებელი მისიის" ორჯერ შემსრულებელი ტომ კრუზი და მისი ავსტრალიელი მეუღლე, პირმშვენიერი ნიკოლ კიდმანი გაახარებენ.



ტომ კრუზი და ნიკოლ კიდმანი


სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

12 სექტემბრიდან სიდნეიში მუშაობას შეუდგა საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის პრესცენტრი.
თქვენთვის საინტერესო ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ ყოველდღე, თბილისის დროით 17.30-დან 19 საათამდე.
ტელეფონი: (612) 8 11 35 445

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიო ახვლედიანის

## სვეტი

## ცვლილებათა ჯაჭვი

ვიალი გადამდგარაო.

მგონი დაგვიანებულია. შესულა კაბინეტში კენ ბეიტსთან, იქიდან გამოსულს კი უთქვამს, გადავდექიო. „ჩელსის" ბობოლა ფეხბურთელებს უთქვამთ, თავისი უაზრო სიმკაცრით თავი მოგვაბეზრაო.

ვიალი რუდ გულიტმა მიიყვანა „ჩელსიში", მოთამაშე-მწვრთნელმა. მერე გულიტმა ჯანფრანკო ძოლაც მიიყვანა. ძოლამ ვიალი ამოაგდო ძირითადიდან. ვიალიმ გულიტი ამოაგდო „ჩელსიდან" და მოთამაშე-მწვრთნელი გახდა. გულიტმა თქვა, ვიალი არაკაცი ყოფილაო, რომ გამიშვეს, ყველა ფეხბურთელმა დამირეკა და მადლობა მითხრა, მან კი არაო.

ამბობდნენ, რომ მოთამაშე-მწვრთნელი ძოლა გახდებოდა. ასეთი რამ ბეიტსისგან მოსალოდნელი იყო. ის თითქმის ყოველთვის უარეს ვარიანტს ირჩევს რამდენიმედან. იმასაც ამბობდნენ, ფრენკ რაიკაარდი მოჰყავსო. არც ეს იყო საუკეთესო ვარიანტი. ან იტალიელი, ან ჰოლანდიელი. ბეიტსი სხვას ვერავის ხედავს.

ჩვენთვის ეს ამბავი საინტერესოა. თუნდაც იმიტომ, რომ „ჩელსიში" ქართველი თამაშობს. რატი ალექსიძე რეზერვისტების გუნდშია და მუდმივად გააქვს გოლები (ამ კვირაშიც გაუტანა „ტოტენჰემს"). ის ვერ ხვდება „ჩელსის" ძირითადში. აღარ უხმობენ საქართველოს ნაკრებში. ალბათ იმიტომ, რომ „ჩელსის" ძირითადში ვერ ხვდება. თუმცა, ძნელი დასათვლელი არ არის, რამდენი ქართველი მოხვდებოდა „ჩელსის" ძირითადში დღეს.

ახლა „ჩელსიში" მენეჯერი შეიცვალა. შეიძლება საქმე ისე წავიდეს, რომ არა მხოლოდ მენეჯერი, არამედ სამწვრთნელო შტატიც შეიცვალოს. ვთქვათ, გრემ რიქსი. ანუ ის ასისტენტები წავიდნენ, ალექსიძეს შესაძლებლობებს რომ იცნობენ და მასზე ამაგიც რომ აქვთ. ამასთან დაკავშირებით, ეგებ რატის გასხვისებაზეც დაიწყონ ფიქრი. ვერცერთი ინგლისური ლიგის გუნდი ალექსიძეს ვერ იყიდის და იქირავებს, რადგან მას შრომის უფლებას არ მისცემენ. იმიტომ, რომ ალექსიძეს ნაკრებში არ იწვევენ, იმიტომ, რომ რატი რეზერვისტია. „ჩელსის" რეზერვში თამაშობენ ჯოდი მორისი, ფლო, დე გუი და ლე სო, ან კუდიჩინი, დელა ბონა და ჯონ ჰარლი. მაგრამ მათ შრომის უფლების პრობლემა არ აქვთ. ისინი ევროპელები არიან. რატი ქართველია და ამიტომ არ არის ევროპელი.

აი, ფიქრის რამსიგრძე ჯაჭვს ბადებს ერთი გადადგომა.

ვნახოთ, რა იქნება... ხომ შეიძლება, ყველაფერი პირიქით მოხდეს. ვთქვათ მივიდეს კლაუდიო რანიერი ჰარლინგტონის ბაზაზე და თქვას: „აბა, ერთი, რეზერვისტები მაჩვენეთ".

და მოეწონოს.

ასე რომ...

# ფულემში ვარდები, შემოყვარდები

## „ჩელსის" ახალი მწვრთნელი ჰყავს. ცხადია, იტალიელი



**მთლად** ხილი ხილი არა, მაგრამ ეს კენ ბეიტსიც, ზემოთ რომ ხედავთ, დიდად ახირებული და თავისნათქვამა კაცია. საფეხბურთო კლუბ „ჩელსის", სასტუმრო „ჩელსი ვილიჯისა" და ვინ მოთვლის, კიდევ რა ოდენობის ქონების პატრონი ამ ბოლო დროს იტალიელებზე გადაირია და ჯანლუკა ვიალის ადგილი კვლავ აპენინელს ჩააბარა.

ვენეიბლზიო, გრემიო, ჰოდლიო... ყველაფრისმცოდნე „უილიამ ჰილიც" ამ სამს მიიჩნევდა ფავორიტად, მაგრამ ადგა ეს ჩვენი ჭაღარა კენ ბეიტსი და თავისი ფულემური ოფისიდან („ჩელსი ვილიჯი" და კლუბის სტადიონი „სტამფორდ ბრიჯი" ლონდონის სწორედ ამ უბანში, ფულემში მდებარეობს) იტალიაში დარეკა...

48 წლის უმუშევარმა კლაუდიო რანიერიმ ლონდონელთა მიპატიჟება ოთხშაბათ საღამოს მიიღო. ჯერ მხოლოდ ზოგადი — „ჩელსისა" და „სენტ გალენის" მატჩზე თუ დაგვეწვევით, კარგი იქნებაო. თუ დაგვეწვევითო? თუ კი არა... სჯობს თავად რანიერის მოვუსმინოთ: ამ ზარმა ჩემზე ისე იმოქმედა, ვარდი რომ ვყოფილიყავი, ალბათ დავჭკნებოდი.

ცხადია, იტალიელი მწვრთნელი ხუთშაბათ საღამოს „სტამფორდ ბრიჯის" საპატიო სტუმართა ლოჟაში იჯდა და განაწყენებულ ფანთა სკანდირებას — ვიალი! ვიალი!-ს — ისმენდა, გუშინ კი „ჩელსისთან" მოლაპარაკება დაიწყო და დაამთავრა კიდეც:

„კლაუდიო რანიერისთან სამწლიანი კონტრაქტი დავდეთ. ის მეტად გამოცდილი მწვრთნელია და ახალ სიმაღლეებზე ასასვლელად „ჩელსის" სწორედ ასეთი კაცი სჭირდება" — ამცნო საზოგადოებას კლუბის დირექტორმა კოლინ ჰაჩინსონმა და დაამატა — რანიერი ფეხბურთელებმა ირჩიესო.

„რომას" ყოფილმა ფეხბურთელმა მწვრთნელის სახელი თავის დროზე სარდინიაში, იქაურ „კალიარიში" დაიგდო, როცა სერია C-ს არაფრით გამორჩეული გუნდი სერია A-ში ალაზევა. მერე ორი წელი იმ „ნაპოლის" წვრთნიდა, სადაც ჯანფრანკო ძოლა თამაშობდა. 1993 წელს უკვე „ფიორენტინას" ჩაუდგა სათავეში და ესაც ქვედა ლიგიდან სერია A-ში აახტუნა, თან ფლორენციულ გუნდს 96-ში ქვეყნის თასი და სუპერთასი მოაპოვებინა. ამ წარმატებიდან ერთ სეზონში რანიერი მეზობელ ესპანეთში გადაბარგდა: 1997 წელს „ვალენსიამ" მისი ხელმძღვანელობით თასი და ჩემპიონთა ლიგის საგზური იგდო ხელთ. მერე კი...

მერე, როგორც ესპანეთში მოღვაწე მწვრთნელთა უმრავლესობა, რანიერიც ხესუს ხილი ხილმა შეაცდინა და თავისი „ატლეტიკოს" თავკაცად დანიშნა. ეს შარშანდელი სეზონის დაწყების წინ მოხდა, უკვე 6 მარტს კი რანიერი უმუშევრად დარჩა.

როგორც ხედავთ, ამ კაცის სამწვრთნელო უნარს ეჭვქვეშ ვერავინ დააყენებს. ალბათ ამიტომაც დაპატიჟეს ლონდონში.



კლაუდიო რანიერი: ახლა ჩემია „ჩელსის" დარდები

მოკლედ, გარიგება გუშინ საღამოსვე შედგა (უმუშევარ კაცს, თან დავჭკნიო, რომ თქვა, რა დიდი შებმა დასჭირდებოდა?) და აწი რანიერის ნახევრად იტალიური გუნდის გაძღოლა მოუწევს.

ოღონდ ერთია. ტიტულები არც ვიალის აკლდა, მაგრამ ახლა ახალ სამუშაოს ეძებს. „ჯანლუკა „ჩელსის" ისტორიაში უდიდესი მწვრთნელია. ბევრი ვინმე გამიშვია სამსახურიდან, მაგრამ ასე მტკივნეულად არავის წასვლა განმიცდია" — თქვა კენ ბეიტსმა და... ვიალი სამსახურიდან დაითხოვა.

ასე რომ, რა ელის კლაუდიო რანიერის, არავინ იცის. მთლად ხილი ხილი არა, მაგრამ ეს კენ ბეიტსიც დიდად ახირებული, თუმცაკი იტალიელებზე უზომოდ შეყვარებული კაცია.

**გიგა ძოგახიძე**

# ალმოსავლეთის ექსპრესით



ფრენკი მაკავენი დაბერებულა და... წამხდარა

## სქოთლანდ-იარდმა სქოთს ჩაავლო

„სერ, თქვენი ჩანთა მიბოძეთ" — მიმართა ნიუკასლელმა პოლიციელმა ამავე ქალაქის სადგურის ტერიტორიაზე ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ორმოციოდე წლის მამაკაცს. პოლიციელმა იცოდა, რასაც აკეთებდა.

ჩანთიანმა მახლობლად რამდენიმე სხვა პირიც შენიშნა, რომლებიც მას ეჭვის თვალით უმზერდნენ და მათში „სქოთლანდ იარდის" თანამშრომლები ამოიცნო. წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა და ჩანთა ჩააბარა. ალბათ მიხვდებით, ჩანთაში კარგი არაფერი იქნებოდა — ნარკოტიკებით იყო სავსე. მოგვიანებით მათი საერთო ფასიც იანგარიშეს. ასე, 110 ათასი გირვანქისა იქნებოდა.

დააკავეს მეორე პიროვნებაც, რომელმაც გლაზგო-ნიუკასლის მატარებლით ავბედითი ჩანთა ჩამოიტანა და ამ მცირე წერილის „გმირს" გადასცა.

„გმირი" კი ფრენკ მაკავენია, „სელტიკის", „ვესტ ჰემისა" და შოტლანდიის ნაკრების ყოფილი წევრი. და რაკი ფეხბურთელია, სპორტული გაზეთის ფურცლებზეც ამიტომ მოხვდა.

მაკავენი კარგი ფეხბურთელი იყო, ცოცხალი ლეგენდა არა, მაგრამ სქოთები მას ვარსკვლავს უწოდებდნენ, ახლა კი წამხდარა.

როგორც იტყვიან, გამოძიება გრძელდება.

# ფიფამ პრეზიდენტი ამხილა

**...ჩაწყობილ** მატჩებს რატომ თამაშობთო. მსოფლიო ფეხბურთის ორგანიზაციამ გუშინ პერუს ჩემპიონ „უნივერსიტარიო დე დეპორტივოს" 2002 წლამდე დისკვალიფიკაცია მიუსაჯა და გუნდს ყოველგვარი საერთაშორისო მატჩების გამართვა აუკრძალა, რაც იმას ნიშნავს, რომ ლიმას „უნივერსიტარიო" სამხრეთ ამერიკის ლიბერტადორესის თასსაც ჩამოშორდა და ვერც ამხანაგურ მატჩებს გამართავს. მიზეზი თავში გითხარით: „უნივერსიტარიოს" პრეზიდენტი ალფრედო გონსალესი ურჩობაში ამხილეს. სადისციპლინო კომისიას პრეზიდენტი გაუფრთხილებია, ჩაწყობილ მატჩებში ნუ მონაწილეობთო, მაგრამ მას ზემდგომი ორგანოებისთვის ყურიც არ უთხოვებია. ბუნებრივია, დისკვალიფიკაციამ კლუბის ქომაგები განარისხა და ისინი „უნივერსიტარიოს" პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვენ. ფიფამ გულშემატკივართა მხარე დაიჭირა და პერუს ფეხბურთის მამებს შეუთვალა — თუ ალფრედო გონსალესი დაკავებული თანამდებობიდან წავა, დისკვალიფიკაციას ვადამდე ადრე მოგიხსნითო.

ფირმის, კავშირის, ფონდის
რეგისტრაცია
იურიდიული და სადვოკატო მომსახურება
მარჯანიშვილის ქუჩა №5;
II სართული; ოთახი №228
ტელეფონი: 95 53 20;
62 56 52 (საღამოს)

## სატირბოროტე — კითხვა-პასუხი

**— აბა, ერთი მითხარი იმ გუნდს რა ჰქვია?**

— რომელს?

**— აი, თეთრ-თეთრი რომ აცვია, პატარა ბიჭები რომ ჰყავს, რომ დარბიან.**

— მადრიდის „რეალი".

**— მადრიდის „რეალს" ჰყავს პატარა ბიჭები?**

— რა, არ ჰყავს?

**— მადრიდის „რეალის" სახელი დამავიწყდებოდა?**

— მე კაიხანს მქონდა დავიწყებული.

**— მერე ხომ გაგახსენდა?**

— მაკმანამანმა გამახსენა.

**— ჰმ... რა უნდა გელაპარაკო.**

— რაც გინდა, ის მელაპარაკე, ვიღაცაზე მელაპარაკებოდი...

**— ხო, თეთრ-თეთრი რომ აცვიათ... ორი ზანგი რომ ერთმანეთს შეეჯახა და ერთი რომ კინაღამ მოკვდა. რა ჰქვია მაგ გუნდს?**

— შეურაცხყოფისთვის ენას ამოგაძრობ.

**— მე არ შემირაცხყვია. „ბარსამ" შეურაცხყო...**

— „ლიდს იუნაიტედი" კიდევ იტყვის თავისას...

**— ჰოო, „ნოუ კამპზე" აპირებს?**

— რას?

**— მაგ სიტყვის თქმას.**

— „ნოუ კამპი" არ ითვლება.

**— რატომ?**

— ძალიან ფართოა. გადააგდებენ ბურთს და სდიე.

**— შენც გადააგდე, ვინ გიშლის?**

— ეგრე არ გამოდის. იმათ იციან, საით გადააგდონ, შენ კიდევ არ იცი.

**— მაქედან რა გამოდის?**

— ის, რომ „ელანდ როუდი" ვიწრო და მოკლეა და...

**— და ალან სმიტს ბუცები აქვს ალესილი, არა?**

— კაცო, რა გინდა, ბავშვი ებრძვის, დიდი რამე თუ ვინმეს ფეხი გაუჭრა თავისი წიხლით.

**— და გაზა?**

— რა გაზა?

**— გაზას ბუცები აქვს, თუ ფეხშიშველი თამაშობს?**

— ფეხშიშველმა რატომ უნდა ითამაშოს, ბორჩალო კი არ არის.

**— აბა, ბუცებით ვერაფერს აკეთებს და...**

— დღეს ნახავ.

**— რას ვნახავ?**

— რასაც უზამს „მანჩესტერს".

**— ვინ, გაზა?**

— ო, დიახ.

**— პირჯვარი გადაიწერე.**

— აი, ნახავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. მე-5 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 16 სექტემბერი | | | |
| 002 | ლევერკუზენი-ჰანზა | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 003 | ლევერკუზენი-ჰანზა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 004 | ფრაიბურგი-კოტბუსი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 005 | აინტრახტი-მიუნხენ 1860 | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 006 | ბოხუმი-ვოლფსბურგი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 007 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 008 | ბაიერნი-უნტერჰახინგი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 009 | ბაიერნი-უნტერჰახინგი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | 17 სექტემბერი | | | |
| 010 | შალკე-ვერდერი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 011 | ჰერტა-შტუტგარტი | 2,0 | 2,9 | 3,6 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-5 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 16 სექტემბერი | | | |
| 014 | მიონხენგლადბახი-მაინცი 18.00 | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 015 | მიონხენგლადბახი-მაინცი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 016 | როიტლინგენი-ალენი 18.00 | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | 17 სექტემბერი | | | |
| 017 | ფიურტი-ობერჰაუზენი 18.00 | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 018 | კიკერსი-ნიურნბერგი 18.00 | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 019 | ზაარბრიუკენი-ოსნაბრიუკი 18.00 | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 020 | ქემნიცი-ულმი 18.00 | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | 18 სექტემბერი | | | |
| 021 | არმინია-ალემანია | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| 022 | არმინია-ალემანია 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. მე-6 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 16 სექტემბერი | | | |
| 023 | არსენალი-ქოვენთრი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 024 | არსენალი-ქოვენთრი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 025 | ასტონ ვილა-ბრედფორდი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 026 | ასტონ ვილა-ბრედფორდი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 027 | ჩარლტონი-ტოტენჰემი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 028 | ევერტონი-მანჩესტერი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 029 | ლიდსი-იფსვიჩი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 030 | ლიდსი-იფსვიჩი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 031 | საუთჰემპტონი-ნიუკასლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 032 | სანდერლენდი-დერბი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | 17 სექტემბერი | | | |
| 033 | ჩელსი-ლესტერი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 034 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 035 | მანჩესტერ სიტი-მიდლსბრო | 2,2 | 2,9 | 3,2 |

### ინგლისი. I დივიზიონი. მე-8 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 16 სექტემბერი | | | |
| 037 | ბარნსლი-ქუინზ პარკი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 038 | ბოლტონი-პორტსმუთი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| 039 | ბოლტონი-პორტსმუთი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 040 | ბარნლი-გრიმსბი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 041 | ჯილინგემი-ჰადერსფილდი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 042 | ნორვიჩი-კრისტალ პალასი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 043 | ნოტინგემი-ფულემი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 044 | პრესტონი-სტოკპორტი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 045 | ტრანმერი-უენსდი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 046 | უოტფორდი-ქრიუ | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 047 | უოტფორდი-ქრიუ 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 048 | უიმბლდონი-ვულვერჰემპტონი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| | 17 სექტემბერი | | | |
| 049 | ვესტ ბრომვიჩი-ბირმინგემი 17.00 | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### ინგლისი. II დივიზიონი. მე-8 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 16 სექტემბერი | | | |
| 050 | ბრენტფორდი-მილუოლი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 051 | როვერსი-უიგანი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 052 | კოლჩესტერი-რექსემი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 053 | ნორთჰემპტონი-ნოტსი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 054 | ოლდემი-ბრისტოლი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 055 | ოქსფორდი-ბერი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 056 | პიტერბრო-რედინგი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 057 | როტერჰემი-უიკომბი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 058 | სუონსი-ლეიტონი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 059 | სუინდონი-კემბრიჯი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 060 | უოლსოლი-ბორნმუთი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 061 | უოლსოლი-ბორნმუთი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | 17 სექტემბერი | | | |
| 062 | პორტ ვეილი-სტოკი 17.00 | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### ინგლისი. III დივიზიონი. მე-8 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 16 სექტემბერი | | | |
| 063 | ბრაიტონი-ჩელტენემი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 064 | ჩესტერფილდი-მენსფილდი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 065 | დარლინგტონი-ბარნეტი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 066 | ექსეტერი-იორკი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 067 | ჰალიფაქსი-საუთენდი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 068 | ჰარტლპული-მენსფილდი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 069 | ჰალი-შრიუსბერი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 070 | კიდერმინსტეირ-ლეიტონი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 071 | ლინკოლნი-ბლეკპული | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 072 | პლიმუთი-კარლაისლი | 1,9 | 3,2 | 3,6 |
| 073 | როჩდეილი-ტორკი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 074 | სკანთორპი-კარდიფი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-8 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 16 სექტემბერი | | | |
| 075 | ლანსი-პსჟ | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 076 | ბასტია-რენი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 077 | გენგამი-ოსერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 078 | მარსელი-ბორდო | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 079 | მეცი-სედანი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 080 | მონაკო-ტულუზი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 081 | მონაკო-ტულუზი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 082 | ტრუა-სტრასბური | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| | 17 სექტემბერი | | | |
| 083 | ნანტი-ლიონი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 084 | სენტ ეტიენი-ლილი | 1,7 | 3,0 | 5,0 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-10 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 16 სექტემბერი | | | |
| 085 | ბოვუა-ლე მანი | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| 086 | კრეტეი-კაენი | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 087 | ლავალი-ნიორი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 088 | ლე ავრი-კანი | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 089 | ლორიანი-ანჟე | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 090 | მონპელიე-სოშო | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 091 | ნანსი-მარტიგი | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 092 | ნიცა-ნიმი | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 093 | ვასკეალი-აიაჩო | 2,1 | 2,7 | 3,6 |
| | 17 სექტემბერი | | | |
| 094 | გენიონი-შატორუ | 2,0 | 2,7 | 4,0 |

### იტალია. სერია "ბ". მე-3 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 17 სექტემბერი | | | |
| 096 | კალიარი-პესკარა 18.00 | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 097 | ჩიტადელა-ტერნანა 18.00 | 2,6 | 2,5 | 2,9 |
| 098 | კოზენცა-კროტონე 18.00 | 1,7 | 2,6 | 6,0 |
| 099 | ემპოლი-ჯენოა 18.00 | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 100 | სიენა-ანკონა 18.00 | 2,2 | 2,5 | 3,6 |

### იტალია. სერია "ც1/ა". მე-3 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 17 სექტემბერი | | | |
| 101 | ალბინოლეფე-სპეცია | 1,9 | 2,4 | 5,3 |
| 102 | ალესანდრია-კომო | 3,0 | 2,4 | 2,5 |
| 103 | ბრეშელო-არეცო | 1,7 | 2,,7 | 5,6 |
| 104 | კარარეზე-სპალ | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 105 | ლეკო-ლევორნო | 2,4 | 2,5 | 3,2 |
| 106 | ლუკეზე-რეჯანა | 1,7 | 2,6 | 6,0 |
| 107 | მოდენა-ლუმეცანე | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 108 | პიზა-ჩეზენა | 2,4 | 2,5 | 3,2 |
| 109 | ვარეზე-ალძანო | 2,3 | 2,5 | 3,4 |

### იტალია. სერია "ც1/ბ". მე-3 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 17 სექტემბერი | | | |
| 110 | აკილა-ტორესი 18.00 | 1,8 | 2,6 | 5,3 |
| 111 | ატლეტიკო-სავოია | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 112 | აველინო-ფ.ანდრია | 2,3 | 2,4 | 3,5 |
| 113 | დი სანგრო-კატანია | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 114 | ჯულიანოვა-ასკოლი | 3,0 | 2,5 | 2,5 |
| 115 | ლოდიჯანი-ბენევენტო | 1,8 | 2,5 | 5,6 |
| 116 | პეზარო-პალერმო | 2,8 | 2,5 | 2,7 |
| 117 | ვიტერბეზე-ნოჩერინა | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| | 18 სექტემბერი | | | |
| 118 | ფერმანა-მესინა | 1,8 | 2,6 | 5,6 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. მე-2 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 16 სექტემბერი | | | |
| 119 | ბილბაო-ბარსელონა | 3,4 | 2,9 | 2,1 |
| 120 | რასინგი-დეპორტივო | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 121 | ვალენსია-მალიორკა | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 122 | მალაგა-რეალი | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| | 17 სექტემბერი | | | |
| 123 | ალავესი-ვილიარეალი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 124 | სელტა-სოსიედადი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 125 | ესპანიოლი-ოსასუნა | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 126 | ოვიედო-ლას პალმასი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 127 | რაიო-სარაგოსა | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 128 | ვალიადოლიდი-ნუმანსია | 1,75 | 3,0 | 4,4 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. მე-3 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 16 სექტემბერი | | | |
| 129 | ელჩე-სევილია | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 130 | ალბასეტე-ეიბარი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| | 17 სექტემბერი | | | |
| 131 | ხეტაფე-ტენერიფე 14.30 | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 132 | სპორტინგი-ესტრემადურა 15.00 | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 133 | ლეგანესი-მურსია 15.00 | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 134 | კომპოსტელა-ბადახოსი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 135 | ხაენი-ატლეტიკო | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 136 | ლეიდა-სალამანკა | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 137 | ლევანტე-უნივერსიდადი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 138 | უელვა-კორდობა | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 139 | ბეტისი-ფეროლი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 140 | ბეტისი-ფეროლი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### პორტუგალია. I დივიზიონი. მე-4 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 16 სექტემბერი | | | |
| 142 | სპორტინგი-ალვერკა | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 143 | სპორტინგი-ალვერკა 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | 17 სექტემბერი | | | |
| 144 | ფერეირა-ბეირა მარი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 145 | მარიტიმუ-ავეში | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 146 | ფარენსე-სალგეირუში | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 147 | ბელენენსეში-ლეირია | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| | 18 სექტემბერი | | | |
| 148 | ბოავიშტა-ბრაგა | 1,65 | 3,2 | 5,0 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 149 | კამპომაიორენსე-პორტუ | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| 150 | ბენფიკა-ამადორა | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 151 | ბენფიკა-ამადორა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

პორტუგალია. II დივიზიონი. მე-4 ტური

16 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 152 | სანტა კლარა-ნავალი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

17 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 153 | შავეში-სეტუბალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 154 | რიუ ავე-მაია | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 155 | ნასიონალი-ესპინიუ | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 156 | ფელგეირაში-პენაფიელი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 157 | ოვარენსე-მარკუ | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 158 | ლეცა-ლამაში | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 159 | ვარზიმი-ფრეამუნდე | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 160 | ვარზიმი-ფრეამუნდე 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 161 | იმორტალი-აკადემიკა | 3,2 | 2,9 | 2,2 |

ჰოლანდია. I დივიზიონი. მე-5 ტური

16 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 162 | ბრედა-გრააფსხაპი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 163 | პსვ-სპარტა | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 164 | პსვ-სპარტა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

17 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 165 | როზენდალი-გრონინგენი 17.30 | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 166 | ვიტესი-ვალვაიკი 17.30 | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 167 | ნაიმეგენი-სიტარდი 17.30 | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 168 | უტრეხტი-ტვენტე 17.30 | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 169 | ალკმაარი-აიაქსი | 4,0 | 3,1 | 1,8 |

ჰოლანდია. II დივიზიონი. მე-5 ტური

16 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 170 | ვეენდამი-დორდრეხტი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 171 | დენ ჰააგი-იგლსი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 172 | დენ ბოსხი-ვოლენდამი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 173 | დენ ბოსხი-ვოლენდამი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 174 | ექსელსიორი-ოსი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 175 | ექსელსიორი-ოსი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 176 | ვენლო-ჰაარლემი | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| 177 | ცვოლე-ჰელმონდი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 178 | ცვოლე-ჰელმონდი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 179 | მაასტრიხტი-ემენი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 180 | ეინდჰოვენი-ჰერაკლესი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

17 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 181 | ტელსტარი-კამბური 17.30 | 2,4 | 3,0 | 2,7 |

ბელგია. I დივიზიონი. მე-6 ტური

16 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 182 | სტანდარდი-აალსტი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 183 | სტანდარდი-აალსტი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 184 | ლუვიე-მეხელენი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 185 | ანდერლეხტი-ჰარელბეკე | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 186 | ანდერლეხტი-ჰარელბეკე 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 187 | ლიერსი-ანტვერპენი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 188 | ლიერსი-ანტვერპენი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 189 | გენტი-ბევერენი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 190 | გენტი-ბევერენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 191 | მუსკრონი-ვესტერლო | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 192 | ლოკერენი-სენტ ტრუიდენი | 1,5 | 3,6 | 5,6 |

17 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 193 | გენკი-შარლერუა 18.00 | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 194 | ბეერსხოტი-ბრიუგე | 3,5 | 3,2 | 1,9 |

ბელგია. II დივიზიონი. მე-5 ტური

16 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 195 | ჰეუსდენი-დესელი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 196 | მონსი-ინგელმუნსტერი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 197 | ლიეჟი-სტრომბეკი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 198 | მაასლანდი-დენდერლეუ | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 199 | დაინცე-ოსტენდე | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 200 | ლომელი-გეელი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

17 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 201 | რუზელარე-სერკლი 18.00 | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 202 | ტურნჰაუტი-ჰეკელგემი 18.00 | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 203 | მოლენბეკი-ტინენი 18.00 | 1,55 | 3,5 | 5,0 |

ჩეხეთი. მე-7 ტური

17 ხექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 207 | ლიბერეცი-პლზენი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 208 | ლიბერეცი-პლზენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 209 | ბანიკი-სინოტი | 1,9 | 3,1 | 4,0 |
| 210 | პრჟიბრამი-იაბლონეცი | 2,0 | 2,9 | 3,6 |

პოლონეთი. მე-8 ტური

16 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 211 | პოგონი-რაძიონკოვი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 212 | პოგონი-რაძიონკოვი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 213 | ოდრა-ზაგლებე | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 214 | კატოვიცე-პლოცკი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 215 | გურნიკი-გროცლინი | 1,8 | 3,0 | 4,2 |

17 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 216 | პოლონია-ლეგია 17.00 | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 217 | შლიონსკი-რუხი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 218 | სტომილი-ვისლა | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 219 | ამიცა-ვიძევი | 1,8 | 2,9 | 4,4 |

თურქეთი. მე-5 ტური

16 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 221 | ბეშიქთაში-ფენერბაჰჩე | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 222 | დენიზლი-ბურსა | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 223 | სამსუნი-ერზურუმი | 1,55 | 3,3 | 5,6 |

17 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 224 | იოზგათი-ადანა 17.30 | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 225 | იეთფა-ანკარაგიუჯუ 17.30 | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 226 | ანთალია-რიზე | 1,6 | 3,2 | 3,6 |
| 227 | გენჩლერბირლიგი-გაზიანთ. | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 228 | ისთანბული-ტრაბზონი | 4,0 | 3,1 | 1,8 |

შოტლანდია. მე-8 ტური

16 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 229 | დანდი იუნაიტედი-სტ.მირენი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 230 | ჰიბერნიანი-მოზერუელი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 231 | კილმარნოკი-აბერდინი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 232 | სტ.ჯონსტონი-დანდი | 2,1 | 3,0 | 3,3 |

17 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 233 | რეინჯერსი-ჰართსი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 234 | რეინჯერსი-ჰართსი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

18 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 235 | დანფერმლაინი-სელტიკი | 5,6 | 3,6 | 1,5 |

ავსტრია. მე-11 ტური

16 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 237 | ბრეგენცი-რიდი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 238 | რაპიდი-ზალცბურგი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

17 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 239 | ადმირა-ტიროლი 18.00 | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 240 | გრაცერი-აუსტრია | 2,9 | 3,0 | 2,3 |

შვეიცარია. "ა" ჯგუფი. მე-11 ტური

16 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 241 | აარაუ-ივერდონი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 242 | სიონი-ქსამაქსი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

17 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 243 | ლოზანა-ბაზელი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 244 | ლუგანო-ლუცერნი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 245 | ლუგანო-ლუცერნი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |

18 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 246 | სენტ გალენი-სერვეტი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 247 | ციურიხი-გრასჰოპერი | 2,7 | 3,0 | 2,4 |

შვეიცარია. "ბ" ჯგუფი. მე-13 ტური

16 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 248 | კარუჟი-თუნი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 249 | ვინტერთური-სოლოთურნი | 1,4 | 4,0 | 6,4 |
| 250 | ვინტერთური-სოლოთურნი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 251 | იანგ ბოისი-ვილი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 252 | ბადენი-დელემონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 253 | კრინსი-ვანგენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 254 | ლოკარნო-ბელინცონა | 3,0 | 3,1 | 2,2 |

დანია. მე-9 ტური

17 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 255 | ოლბორგი-ორჰუსი 18.00 | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 256 | ჰადერსლევი-ლიუნგბიუ 18.00 | 4,7 | 3,3 | 1,65 |
| 257 | ჰერფიოლგე-მიდტიულანდი 18.00 | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 258 | კოპენჰაგენი-ოდენსე 18.00 | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 259 | ვიბორგი-სილკებორგი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

18 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 260 | აკადემისკი-ბრიონდბიუ | 2,9 | 3,2 | 2,2 |

რუსეთი. გადადებული მატჩები

18 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 261 | ანჟი-ზენიტი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 262 | ნ.ნოვგოროდი-როსტსელმაში | 2,8 | 3,0 | 2,0 |

შვედეთი. მე-20 ტური

16 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 263 | ჰელსინგბორგი-ნორჩიოპინგი 18.00 | 1,7 | 3,2 | 4,4 |

17 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 264 | აიკ-იორებრო | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 265 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 266 | ტრელებორგი-იორგრიტე | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 267 | ფრიოლუნდა-სუნდსვალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

18 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 268 | ელფსბორგი-ჰეკენი | 1,5 | 3,6 | 5,6 |

ნორვეგია. 23-ე ტური

16 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 269 | რუსენბორგი-ბოდიო გლიმტი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 270 | რუსენბორგი-ბ.გლიმტი | 1,9 | 3,2 | 2,6 |

17 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 271 | ჰაუგესუნდი-სტარტი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 272 | ლილესტრიომი-მოსი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 273 | მოლდე-ბრინი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 274 | მოლდე-ბრინი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 275 | ოდ გრენლანდი-ტრომსიო | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 276 | ვიკინგი-ვოლერენგა | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| 277 | ვიკინგი-ვოლერენგა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 278 | ბრანი-სტაბეკი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

იტალია. თასის 1/8 ფინალი. I მატჩები

16 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 279 | სამპდორია-ლაციო | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 280 | ბრეშა-იუვენტუსი | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| 281 | ტორინო-მილანი | 3,5 | 3,0 | 2,0 |

17 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 282 | სალერნიტანა-ფიორენტინა | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 283 | პიაჩენცა-უდინეზე | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 284 | ვენეცია-პარმა | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| 285 | რომა-ატალანტა | 1,25 | 5,0 | 9,0 |

18 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 286 | ინტერი-ლეჩე | 1,25 | 5,0 | 9,0 |

ოლიმპიური თამაშების ფსონებს გაეცნობით ადგილზე

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# სდასრულდა ესე ამბავი?

## სდასუ დაიშალა! მეათე ეროვნული ჩემპიონატი თავისი სიტყვის მთქმელი, ქომაგმრავალი სტუდენტური კლუბის გარეშე დაიწყება

*სდასუ დაიშალა! ხუთი წელი იარსება ამ კლუბმა და დღევანდელი დუხჭირი ყოფის, ვინ იცის, მერამდენე მსხვერპლი შეიქნა. ხუთი წელი არ არის პატარა დრო, ამ ხნის მანძილზე აღმაშენებლის სახელობის საუნივერსიტეტო კლუბი ქართული კალათბურთის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ, სხვათაგან გულშემატკივრის სიმრავლით გამორჩეული.*

სამწუხაროა, მაგრამ ამიერიდან მხოლოდ წარსულზე საუბრისას მოვიხსენიებთ სდასუ-ს. ჩვენთვის ნაჩვევმა უფულობამ ამ კლუბის არსებობას სამუდამოდ თუ არა, დროებით ნაღდად დაუსვა წერტილი...

ეროვნულ ჩემპიონატში პირველად 1995-96 წლების სეზონში გამოჩნდა სდასუ. გამოჩნდა და ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. იმავე წელს ნუგზარ კანდელაკის შეგირდებმა მედლებისთვის გაიბრძოლეს, მაგრამ მესამე ადგილისთვის შეხვედრა თავისზე ნაცად „აზოტთან“ დათმეს და ბრინჯაოც რუსთაველებს დაანებეს. შემდეგ სეზონშიც იგივე განმეორდა, ადრინდელთან შედარებით მნიშვნელოვნად სახეცვლილ სდასუ-ს ბრინჯაოსთვის კვლავაც „აზოტთან“ მოუხდა შეტოქება და კვლავ დამარცხდა. სამაგიეროდ, მომდევნო ჩემპიონატში, თამაზ ოქრუაშვილის მწვრთნელობისას აისრულა სტუდენტურმა კლუბმა გულისწადილი, მცირე ფინალში (მესამე ადგილისთვის) „დინამო“ დაჯაბნა და ბოლოს და ბოლოს ბრინჯაოც ხელთ იგდო. როგორც ახლა ირკვევა, ეს სდასუ-ს ყველაზე დიდი წარმატება გახლდათ.

ერთადერთხელ, შარშანწინ ვერ შეძლო ამ კლუბმა ელიტარულ ოთხეულში შეღწევა, მაგრამ დაღმასვლას არ შეეპუა და წინა სეზონში კვლავაც გააღწია ნახევარფინალში. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ ამით სდასუ კარს გაიჯახუნებდა.

ხუთი წლის განმავლობაში სდასუ-ში ბევრ ცნობილ ქართველ კალათბურთელს უთამაშია. მარტო იმის გახსენება რად ღირს, რომ ისეთმა მოთამაშეებმა, როგორებიც ნიკოლოზ დერიუგინი და გია სანაძე იყვნენ, აქტიური კარიერა სდასუ-ში დაასრულეს. ახლა მწვრთნელებიც ჩამოვთვალოთ. სხვადასხვა დროს ამ კლუბში ნუგზარ კანდელაკმა, ლევან ინწკირველმა, თამაზ ოქრუაშვილმა, ნუგზარ ჭეიშვილმა და ლევან მოსეშვილმა იღვაწეს.

ყოველივე ეს, ისევე როგორც მთლიანად სდასუ, დღეს უკვე ისტორიის კუთვნილებაა. დასანანია, რომ დროის დინებამ სავალალო შედეგი მოგვიტანა. მართალია, სდასუ-მ არსებობა შეწყვიტა, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, ადრე თუ გვიან ეს კლუბი ისევ ჩაებმება საკალათბურთო ფერხულში.

**გიორგი ბიჭაშვილი**

**გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები**



ვაჰ, დრონი, ფულნი... იყო დრო, სდასუ-ს ნიკოლოზ დერიუგინი (№11) მოუძღვებოდა, ქომაგს კარგად ახსოვს როგორ უმდიდრებდა გუნდს ტრადიციას ჭალარაშეპარული გია სანაძე (შუაში), დავით თორთლაძის თავგამოდებაც კარგა ხანს არ დაავიწყდებათ სდასუ-ს ერთგულთ... ვაი, რომ წყეულმა უფულობამ ამ კლუბს მომავალი მოუსპო.

# ჯო სმითმა ბიუჯეტი აზარალა

## მინესოტელ ფორვარდს დაფარული შემოსავალი აღმოუჩინეს

**ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში** სკანდალია, კლუბ „მინესოტა ტიმბერვულვზს“ და მის კალათბურთელ ჯო სმიტს საიდუმლო კონტრაქტი აღმოუჩინეს. როგორც ბოლოლა ამერიკული გაზეთი „ნიუ იორკ ტაიმსი“ იუწყება, ჯო სმიტს ერთი წლის წინ „მინესოტასთან“ ერთწლიანი და 1,75-მილიონიანი კონტრაქტი კი არ გაუფორმებია, არამედ ათწლიანი და 93-მილიონიანი. ეს კი ნბა-ს წესების ერთობ უხეში დარღვევაა და მასში მხილებულებს ნამდვილად არ დაადგებათ კარგი დღე.

ჩავუღრმავდეთ ამ საკითხს. ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ ყველა გუნდს ერთნაირი სახელფასო ფონდი დაუწესა და კლუბებს მისგან გადახრა სასტიკად აუკრძალა. წლევანდელ სეზონში ეს ფონდი დაახლოებით 35 მილიონს შეადგენს და ნბა-ს თითოეული კლუბი თავისი კალათბურთელების ერთი წლის ჯამური ხელფასების ოდენობას ამ თანხას ვერ გადააცილებს. არის შემთხვევები, როცა ამა თუ იმ კლუბს შევსებული აქვს ფონდი და სასურველი კალათბურთელის ხელში ჩაგდებას ნბა-ს წესების გვერდის ავლით ახერხებს, თუმც ამგვარი რამ იშვიათად ხდება.

გაზეთ „ნიუ იორკ ტაიმსის“ მოხერხებულმა კორესპონდენტმა იპოვა ხალხი, რომლებიც ესწრებოდნენ და თავიანთი თვალით ნახეს, როგორ გააფორმა ჯო სმიტმა იატაკქვეშა ხელშეკრულება „მინესოტა ტიმბერვულვზის“ მფლობელ გლენ ტეილორთან. ეს კი სერიოზული დარღვევაა.

იმ კონტრაქტის თანამხად, რომელიც „მინესოტამ“ ნბა-ში წარადგინა, სმიტი ახლა თავისუფალი აგენტი უნდა ყოფილიყო. და რომ არა „ნიუ იორკ ტაიმსი“ და მისი კორესპონდენტი, სმიტი კიდევ ცხრა წელი ითამაშებდა „მინესოტაში“ და მიიღებდა „მარცხენა“ მილიონებს. ჟურნალისტი თურმე მის 1,75-მილიონიან კონტრაქტს დაუეჭვებია და ძიება დაუწყია. მისი და ალბათ ყველას აზრით, ჯო სმიტი იმ კალიბრის კალათბურთელი არ არის, სეზონში თუნდაც ორ მილიონს დასჯერდეს.

დაფარული კონტრაქტის მიხედვით სმიტს ფული შემდეგნაირად უნდა მიეღო მომდევნო ცხრა წლის განმავლობაში: მეორე წელს ანუ მომავალ სეზონში „მინესოტა“ მას მისცემდა 2,1 მილიონს, მესამე სეზონში 3,6 მილიონს, ხოლო მომდევნო შვიდი სეზონის განმავლობაში 40,6 მილიონიდან 86 მილიონამდე იმის მიხედვით თუ როგორ გამოიჩენდა სმიტი თავს — ითამაშებდა ოლ სტარს, რა შედეგიანობა ექნებოდა და სხვა. ჩვენი მხრივ ვიტყვით, რომ სმიტის დონის კალათბურთელისთვის ეს შესაფერისი ხელფასია. მაგრამ რა უნდა ექნა „მინესოტას“, როცა ძალიან სურდა სმიტი, იმ ოფიციალურ სახელფასო ფონდში კი თავისუფალი ფული აღარ ჰქონდა. კლუბმაც ზემოხსენებულ ხერხს მიმართა და ჯო სმიტი ათი წლით თავისთან დაიგულა. ამჟამად კლუბის ხელმძღვანელთა აზრის გაგება ვერ მოხერხდა. ისინი უბრალოდ ვერ მოიხელთეს.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია კი „დამნაშავეთა“ დასჯას სასამართლოს დახმარებით აპირებს. ასოციაცია რამდენიმე დღეში აპირებს სასამართლოში სარჩელის შეტანას.

„ეს ძალზე სერიოზული თავდასხმაა სახელფასო ფონდზე, ამიტომ ჩვენ შევეცდებით სასამართლოს მაქსიმალური სანქცია დავაკისრებინოთ, რათა მსგავსი რამის გაკეთების ხალისი დავუკარგოთ კლუბებს, მოთამაშეებს თუ აგენტებს“ — ამბობს ნბა-ს წარმომადგენელი ჯოელ ლიტვინი.

სასამართლო ალბათ განსაკუთრებით მკაცრად მოეკიდება ამ საქმეს, რადგან ჯო სმიტმა სახელმწიფოს ათეულობით მილიონი შემოსავალი დაუმალა და შესაბამისად, გადასახადების გადახდას თავი აარიდა. ასეთ დარღვევას კი სახელმწიფო არავის აპატიებს. თუ „მინესოტას“ და ჯო სმიტს ოფიციალურად დაუმტკიცდათ, რომ მათ ერთმანეთში საიდუმლო კონტრაქტი გააფორმეს, უზარმაზარი ჯარიმის გადახდა მოუწევთ, ასოციაცია იმუქრება, ჯარიმა არაერთი მილიონი იქნებაო. გარდა ამისა, „მინესოტა“ დაკარგავს მომავალ დრაფტში არჩევნის გაკეთების უფლებას, კლუბის ხელმძღვანელებს კი ცალკე პირადი სასჯელი ელით.

დაბოლოს, თავად ჯო სმიტზეც ვთქვათ. იგი 1995 წლის დრაფტის პირველი არჩევანი გახლდათ და ახალი თაობის ვარსკვლავთა ლეგიონშია. მართალი რომ ითქვას, ბოლო, რიგით მეხუთე სეზონი 208-სანტიმეტრიანი თავდამსხმელისთვის ყველაზე უფერული გამოდგა, იგი მატჩში საშუალოდ 9,9 ქულასა და 6,2 მოხსნას აგროვებდა. ეს ნამდვილად არ გახლავთ მისი შესაძლებლობების ზღვარი. თუ თავს ძალა დაატანა, სმიტს შეუძლია ეს მაჩვენებლები გააორმაგოს. მისი და „მინესოტას“ გზები კი ამ აურზაურის შემდეგ ალბათ გაიყრება.

**ირაკლი ფირაშვილი**



ტაირონ ბოგსი

# პატარა კაცი ტორონტოში დარჩა

**თვენახევარი** გავიდა მას შემდეგ, რაც ოფიციალურად გაიხსნა თავისუფალ აგენტთა ბაზარი. ორასი შესარჩევი კაციდან ახლა სულ რამდენიმე ათეული დარჩა და მათი რაოდენობა დღითიდღე მცირდება. ფაქტობრივად, ბაზარზე თითქმის აღარ არიან მოთამაშეები, რომლებშიც რამდენიმე გუნდი ერთმანეთს ეცილება.

გუშინწინ უგუნდოთა გვარიანად შეთხელებულ შემადგენლობას კიდევ რამდენიმე გამოაკლდა, მათ შორის ტაირონ „მაგსი“ ბოგსი. ბოგსმა ძველ გუნდთან, „ტორონტო რეპტორზთან“ განაახლა კონტრაქტი, რომლის პირობები უცნობია.

ორიოდე სიტყვა ვთქვათ ამ ვეტერანზე, მით უფრო, რომ იგი ამას ნამდვილად იმსახურებს. ბოგსი ამჟამად 35 წლისაა, თუმც მის თამაშზე ასაკს არ უმოქმედია და ლიგის ყველა დროის უმოკლესი კაცი ჩვეული ენერგიით ემზადება თავისი მეთოთხმეტე პროფესიული სეზონისთვის. წინა ცამეტი სეზონის განმავლობაში 160-სანტიმეტრიანმა მაგსიმ 888 შეხვედრა ჩაატარა და საშუალოდ მატჩში 7,7 ქულა და 7,6 პასი მიითვალა. სულ მას ნბა-ში თამაშისას 6721 შედეგიანი გადაცემა გაუკეთებია, რის მიხედვითაც ასოციაციის ყველა დროის საუკეთესო მეპასეთა სიაში საპატიო, მეთერთმეტე ადგილი უჭირავს. მოგეხსენებათ, კალათბურთში ბურთის სხვებზე მეტხანს გამთამაშებლები ფლობენ და შესაბამისად მას უფრო ხშირადაც კარგავენ, მაგრამ ამ მხრივ ბოგსი იშვიათი გამონაკლისია, საოცარია, ეს პატარა კაცი ბურთს თითქმის არასოდეს ჰკარგავს, ამასთანავე სასწაულებსაც სჩადის.

ახლა უკვე ხანშიშესულ კალათბურთელს „ტორონტოს“ სასტარტო ხუთეულში მოხვედრა გაუჭირდება, მით უმეტეს, რომ რამდენიმე კვირის წინ კანადურმა კლუბმა წინა სეზონის ფინალისტის, „ინდიანას“ ყოფილი ძირითადი გამთამაშებელი მარკ ჯექსონი აიყვანა. მართალი რომ ითქვას, „ტორონტოს“ თამაშის ყაიდას, რომელიც ქარივით სწრაფ ვინს კარტერზეა გათვლილი, მოძრავი მაგსი ბოგსი უფრო მოუხდება, ვიდრე ინტელიგენტი მარკ ჯექსონი. ეს უკანასკნელი დალაგებული, პოზიციური თამაშის მიმდევარი უფროა, ამიტომ ბოგსს გუნდის თავკაცები იმდენხანს ათამაშებენ, რამდენსაც ვეტერანი გაძლებს.

„ტორონტოს“ ხელმძღვანელობა აფასებს ბოგსს. „მაგსი სულით მებრძოლი, გუნდის ჭეშმარიტი ლიდერია. ბოგსს დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ წინა სეზონში კლუბი მისი არსებობის მანძილზე პირველად მოხვდა პლეი ოფში, გული გვწყდება, რომ იგი ხუთიოდ წლით ახალგაზრდა არაა“ — აცხადებს „რეპტორზის“ გენერალური მენეჯერი გლენ გრიუნვალდი. ტანმორჩილი მაგსი „რეპტორზის“ ყველაზე კოლორიტული და მაყურებელთა საყვარელი კალათბურთელია. იგი თავს მშვენივრად გრძნობს კანადაში. „მე ბედნიერი ვარ, რომ კარიერას ტორონტოში ვაგრძელებ. ქალაქიც ჩინებულია და გულშემატკივრებიც. მე აქ ერთი ლამაზი სეზონი გავატარე“ — ამბობს კმაყოფილი კალათბურთელი.

## ველორბოლა


ალექსანდრ ვინოკუროვი

# ყოჩაღ, ყაზახო!
## ვინოკუროვმა გერმანელები მარაქაში გარია

**გერმანულმა** „ტელეკომმა" პრესტიჟის გოლი გაიტანა, უფრო სწორად, ეს საფეხბურთო ტერმინი რომ ველოსპორტს მოვარგოთ, „ტელეკომმა" პრესტიჟის ეტაპი მოიგო. „ვუელტას" დაწყებამდე ფავორიტად ტელეკომელი იან ულრიხი ითვლებოდა, მაგრამ მას საიდუმლოდ წინდაწინვე დაგეგმილი ჰქონია შეჯიბრის მიტოვება. „ტელეკომი" კი ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად ითვლება მსოფლიოში, თითქმის ყველა ტურნირზე საბოლოო გამარჯვებისთვის იბრძვის და თუ სადმე ერთი ეტაპი მაინც ვერ მოიგო, დიდ წარუმატებლობად ეთვლება.

ულრიხი, როგორც ვთქვით, თავიდანვე არ აპირებდა თურმე საბოლოო გამარჯვებისთვის ბრძოლას. ამიტომაც აქცენტი პეპელა ჯოვანი ლომბარდიზე გაკეთდა, რომლის სპრინტებსაც ულრიხიც კი ამზადებდა. თუმც იტალიელმა ერთხელაც ვერ იმარჯვა და ოთხჯერ დასჯერდა მეორეობას. ხუთშაბათს კი „ტელეკომის" მესვეურებმა როგორც იქნა, გაიხარეს. ყაზახმა ალექსანდრ ვინოკუროვმა მე-18 ეტაპი მოიგო. საერთო ჩათვლაში ლიდერობა კვლავინდებურად ესპანელმა რობერტო ერასმა შეინარჩუნა.

ყოფილმა საბჭოელმა ეტაპის ბოლოს გამოჰგლიჯა ხელიდან გამარჯვება ესპანურ დუეტს. გარსია აკოსტა და რობერტო ლაისეკა კარგა ხნის მანძილზე ლიდერობდნენ რბოლას და მისი ბედიც, წესით, ამ ორი კაცის სპრინტში უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ მათ ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს შიდათანხმობა და ვინოკუროვმა ორივე დაამარცხა.

ამით იმედგაცრუებული, ალბათ, უფრო გარსია აკოსტა უნდა ყოფილიყო, რადგან პელოტონის წინ ძალიან დიდი დრო გაატარა და მოგებასაც იმსახურებდა. თავიდან იგი 28-ე კილომეტრზე დაწინაურდა, მაგრამ მალე შვიდი კაცი წამოეწია და მათთან ერთად გააგრძელა შეტევა.

მეორე კატეგორიის სიძნელის, მოგარასის მთის სხვებთან ერთად დაძლევის შემდეგ, გარსია აკოსტამ პირველი კატეგორიის სიძნელის პორტილო მარტომ დალაშქრა. ამავე მთაზე პელოტონს ბასკი მთიელი რობერტო ლაისეკა გაექცა და ლიდერს დღის მესამე დაბრკოლება — ატოტო დე ლოს ლობოსზე დაეწია. მეთერთმეტე ეტაპის მომგებმა ლაისეკამ, ცოტა ხნით თანამგზავრის ბორბალში მჯდარმა შეისვენა, მერე კი დუეტმა სიჩქარე გაზარდა. პელოტონთან მათმა უპირატესობამ ორ წუთს მიაღწია და ეტაპის ბოლო ორი მთა მათ ამ სხვაობით გადაიარეს.

ორივე მრბოლი სიუდად როდრიგოსკენ მიმავალ დაღმართზე ერთმანეთს კარგად ეხმარებოდა, მაგრამ ფინიშამდე ხუთიოდ კილომეტრით ადრე ლაისეკამ რატომღაც შეწყვიტა მუშაობა და კომპანიონსაც წაუხდინა ხასიათი. ამ ამბამდე 15 კილომეტრით ადრე პელოტონიდან გამოვარდნილ ვინოკუროვსაც სხვა რა უნდოდა.

და მოსახდენიც მოხდა. საფინიშო სწორზე ყაზახმა ესპანელთა შეუთანხმებლობით ისარგებლა და მათ სპრინტში აჯობა, უფრო სწორად, ლაისეკას აჯობა, რადგან გარსია აკოსტამ ისეთი ჟესტი გააკეთა, თითქოს ამბობდა, თავი დამანებეთ, გამარჯვება არ მინდაო.

ეტაპის დამთავრების შემდეგ „ბანესტოს" სპორტულმა დირექტორმა ეუსებიო უნსუემ ლაისეკა, რომელიც საერთო ჩათვლაში მეთერთმეტე ადგილიდან მეცხრემდე ალზევდა, შეთანხმების დარღვევაში დაადანაშაულა, ვითომდა მან გარსია აკოსტასთან თანამშრომლობის შეთანხმება დაარღვია. „სიტყვა არავისთვის მიმიცია. მოგება გვინდოდა, მაგრამ ვერ შევძელით. ვინოკუროვი ჩვენზე სწრაფი აღმოჩნდა. მორჩა" — თქვა ბასკმა.

„ბანესტო" ვახსენეთ და აქვე გეტყვით, რომ ამ ესპანურ გუნდში გაისიდან აღარ იქნება „ვუელტას" ორგზის გამარჯვებული (1996-97 წწ) და შარშანდელი „ტურ დე ფრანსის" ვიცეჩემპიონი, შვეიცარიელი ალექს ცულე. 32 წლის მრბოლმა ორწლიან კონტრაქტს (ერთი წლით გაგრძელების შესაძლებლობით) მოაწერა ხელი მეორე დივიზიონის გერმანულ გუნდ „კოასტ-ვატენშეიდთან".

**გაიოზ თალაკვაძე**

### მეთვრამეტე ეტაპი

ბეხარი — სიუდად როდრიგო, 159 კმ

1. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ტელეკომი) — 3 სთ 52 წთ 54 წმ
2. რობერტო ლაისეკა (ესპანეთი, ესკალტელი)
3. ხოსე გარსია აკოსტა (ესპანეთი, ბანესტო) — ორივეს იგივე დრო
4. კრისტიან მორენი (იტალია, ლიკიგასი) — +1 წთ 01 წმ
5. მასიმილიანო ჯენტილე (იტალია, კანტინა ტოლო) — +1 წთ 01

### საერთო ჩათვლა

1. რობერტო ერასი (ესპანეთი, კელმე) — 63 სთ 09 წთ 18 წმ
2. ანხელ კასერო (ესპანეთი, ფესტინა) — +3 წთ 41
3. პაველ ტონკოვი (რუსეთი, მაპეი) — +4 წთ 50
4. რაიმონდას რუმშასი (ლიტვა, ფასა ბორტოლო) — +6 წთ 37
5. სანტოს გონსალესი (ესპანეთი, ონსე) — +7 წთ 03

## ავტორბოლა

# ანაკონდას მორიგი მსხვერპლი



## ედი ირვინმა პოდიუმის დედოფალი მონუსხა

**ედი ირვინს** კვირაში შვიდი პარასკევი აქვს. თვენახევრის წინ ანუკ ვურველდს დაშორდა, დაუბრუნდა, ისევ დაშორდა, მერე სხვა ტოპ მოდელი, ბრაზილიელი ლუჩიანა მორადი გაიშინაურა (მიკ ჯაგერის ყოფილი მიჯნური), სულ ახლახან კი მანუელა არკურის გვერდით გამოიჭიმა. არკური იტალიელია, 23 წლის. თავისი ღირსებებით, რომლებიც ფოტოზე მშვენივრად ჩანს, პოდიუმის დედოფლად ითვლება. ირვინმა სასურველი საკუთარ იახტა „ანაკონდაზე" დაპატიჟა და „სანის" ცნობით, გიტარაზე დაკვრით აამა. მოკლედ, ირვინის ცხოვრებაში ახალი ინტერესი გაჩნდა და, ცხადია, არა უკანასკნელი. ახლა მხოლოდ მარჩიელობა შეიძლება, „ფორმულა 1"-ის პილოტი არკურთან რამდენ ხანს გაძლებს, ხოლო „სანმა" თავისი წერილის დასასრულს ერთხელაც დააზუსტა, რომ გოგონათა სიმრავლის მიუხედავად, ირვინის მთავარი გოგო 5 წლის ზო არის, მისი ქალიშვილი, რომელიც დედასთან (მარია დრამონდი, ირვინის ყოფილი სატრფო) ერთად შორეულ მაკაოში ცხოვრობს.

**დავით გულუა**

## კრივი

# ჭუჭყიანი ომი დაიწყო
## მე ჯოჯოხეთში გაზრდილი ცხოველი ვარ!
## აღიარა მაიკ ტაისონმა და გოლოტასთან ერთად ჟურნალისტებს დედა აგინა




**ახლოვდება** მაიკლ ტაისონ — ანჟეი გოლოტას შერკინება, მონათლული „ჭუჭყიან ომად". მძიმე წონის ორი უბინძურესი მებრძოლი 22 ოქტომბერს ხვდება ერთმანეთს დეტროიტში, მაგრამ მოკრივეები უკვე ურთიერთლანძღვას და მუქარას მისცემიან.

ტაისონის მეორე მწვრთნელმა სტეისი მაკვინალიმ თქვა: მაიკი მოკვლას უპირებს გოლოტასო.

თავად მებრძოლებმა კი ბევერლი ჰილზში შეყრილ ჟურნალისტებს ლამის დედა აგინეს. ტაისონმა საკუთარ თავს „ცხოველი" უწოდა და დაიმუქრა, მერიდეთო.

„ჩვენ მტკივნეულ საქმეში ვართ და თქვენ ჩვენი საქმის გამო გვლანძლავენ. ვინ მოგცათ ამის უფლება. უძლურნი ხართ და მხდალნი. აბა, რომელ თქვენგანს შეუძლია რინგზე გამოსვლა" — ამ სიტყვებზე ტაისონმა მაისურა გაიძრო და ტიტვლად დარჩენილმა შესძახა, ლენოქს ლუისს შუბლში ტყვიას ჩავაჭედებო.

„ამბობენ, რომ მე ჭუჭყიანი კაცი ვარ. ტყუილია, დღეში სამჯერ შევრბივარ შხაპქვეშ" — ხითხითებდა გოლოტა.

ამასობაში ტაისონი მაგიდაზე შეხტა და ცოტა ეროტიკული, ცოტა საკრივო ცეკვა გააჩაღა.

„მე ცხოველი ვარ. თქვენ არ იცით ჩვენი ჯიგარი და სიტკბო. ქმარი ვარ, კეთილი მამა ვარ. ჯოჯოხეთში გაზრდილი ვარ. რა გინდათ? სულ არ მინდა ჩემპიონობა. ისე ვცემ ლუისს. თქვენ საშინელებებს დაწერთ, მაგრამ თქვენს შვილიშვილებს ეცოდინებათ ჩემი სახელი. იტყვიან, აი, ვინ იყო კაცი."

ასე რომ, დაველოდოთ ბრძოლას.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

## ჩოგბურთი

# დოკიჩის განსხვავებული


დამირ დოკიჩი

**ალკოჰოლური სასმელების** და ხულიგნური გამოხტომების დიდი მოყვარული დამირ დოკიჩი, უახლოესი ნახევარი წლის მანძილზე ზემოხსენებულ პროფესიებში ქალთა ტურნირების დროს ველარ დაოსტატდება — WTA ტურმა მას დისკვალიფიკაცია გამოუწერა გამოსაფხიზლებლად.

17 წლის ამომავალი ვარსკვლავის, უიმბლდონის ნახევარფინალისტ ელენა დოკიჩის მამა ბოლო ერთი წლის მანძილზე ზედმეტად აგრესიულ ქცევაში რამდენჯერმე გამოიჭირეს — ავსტრალიის ღია პირველობაზე ტელეოპერატორს წაეჩხუბა, უიმბლდონზე ჟურნალისტის მობილური ტელეფონი დაფშვნა, შარშან კი სულაც შუა ქუჩაში გაწვა მთვრალი.

საქმენი საგმირონი დამირმა ორი კვირის წინ, აშშ-ის ღია პირველობაზე მორიგი სკანდალით დააგვირგვინა — თევზის ასტრონომიული ფასის გამო ჯერ მიმტანი გამოლანძღა, მერე ტურნირის დაცვას წაეჩხუბა და ბოლოს ძალითაც მიაბრძანეს გარეთ, თანაც კორტებზე დაბრუნებაც აუკრძალეს.

WTA-ს ხელმძღვანელობამ ორი კვირა იფიქრა, როგორ დაესაჯა დოკიჩი და ბოლოს ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: ავსტრალიაში გადასახლებულ სერბს 2 ოქტომბრიდან 2001 წლის 31 მარტამდე ყველა ტურნირზე მწვრთნელის კი არა, უბრალო მაყურებლის რანგში გამოჩენაც კი ეკრძალება.

„ვითვალისწინებთ რა მის სამარცხვინო საქციელს, ვფიქრობთ, რომ ჩოგბურთის, ჩვენი პერსონალის, ტურნირებისა და დასაქმებულ ადამიანთათვის არ არის მიზანშეწონილი, მისტერ დოკიჩი მატჩებს დაესწროს. სამწუხაროა ისიც, რომ ელენა გამუდმებით ესწრება მამას ინციდენტებს" — ნათქვამია WTA-ს განცხადებაში.

უფროს დოკიჩს ზემოხსენებული ვადის გასვლის შემდეგ ტურნირებზე დასწრების უფლებას დართავენ, მაგრამ მორიგ გამოხტომას უკვე გაცილებით ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია მოჰყვება.

ასე რომ, ფილდერშტადტისა და ტოკიოს ტურნირებზე ელენას მწვრთნელის გარეშე მოუხდება თავის გატანა.

**ავთანდილ სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# გაიხსნა!



ფარდა გადაიწია და ორკვირიანი სპორტული სპექტაკლი — სიდნეის ოლიმპიადა დაიწყო. გუშინ სიდნეის ოლიმპიურ სტადიონზე რომ ამბავი იყო?!... 110 ათასი კაცით გადაჭედილი ტრიბუნები და მოედანზეც თითქმის არანაკლები, ფერთა სიუხვე და ბგერათა სიმრავლე, მასობრივი მოძრაობანი, ათასგვარი და უთვალავი მფრინავი ბურთი, მეტწილად არცთუ მრგვალი ფორმისა, ხან მოჩვენებებს რომ გამოსახავდნენ და ხან რას, ხან რას... სამსაათიანმა სანახაობამ იმდენი ფული შთანთქა, ნებისმიერი ულატაკესი ქვეყნის მშივრებს მთელი წლის მანძილზე დააძღობდა, მაგრამ ეს საყვედური არ გახლავთ, ფაქტია უბრალოდ. „სარბიელის“ ბოლო გვერდი კი ოლიმპიადის გახსნის გრანდიოზულობის წარმოჩენას ცდილობს. მფრინავ სხეულებზე ითქვა, ახლა ამ ფოტოებსაც დახედეთ: პირიდან ცეცხლისმფრქვეველი ავსტრალიელი ქალი და, რა თქმა უნდა, აბორიგენების შიშვლად (თითქმის) ცეკვაც იზიდავს თვალს და ბოლოს: 199 ქვეყნის ათასობით შვილმა ჩაიარა გუშინ 110 ათასის თვალწინ. ისინი სპორტსმენები იყვნენ და ოლიმპიურ სპექტაკლში მთავარი როლების შესრულება ეკისრებათ. ავსტრალიელები პატრიკ რაფტერი და ლეიტონ ჰიუიტი, ტრიბუნაზე მოკალათებული ღიმილიანი მარიონ ჯონსი იმ ათასთაგან რჩეულნი გახლავან.







სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, სვეტა დევაძე, მაგდა ღოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge